„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქტორ-გამომცემელი ვ. დლ. ქ[illegible] 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 32. კვირა, 28 აგვისტო 1905 წლისა. № 32

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ამ ნომრისათვის მომზადებული სტატიები ვერ იბეჭდება, ამიტომ დღევანდელი ნომერი სრულიათ ვერ გამოდის.

ნაფ. ვექ. თანაშემწე **ნიკო ელიავა**
გადავიდა ვერის დაღმართზე (Верійскій спускъ), № 15.

ნაფ. ვექ. თანაშემწე **კონსტ. იოს. ჯაფარიძე**
გადავიდა უორღანოვის ქუჩაზე, № 26.

შინაარსი: ხალხი და მუშათა კლასი, ფ. მახარაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—ფრიდრიხ ენგელსი.—მოკლე შენიშვნა აგრარულ საკითხზე,ლ. ახმატელაშვილისა.—შენიშვნა, ვ. ემუხვარისა.—ბაქოს ამბების გამო. პასუხათ ბ-ნ ჩხიკვიშვილს.—წერილი რედაქციის მიმართ.

ხალხი და მუშათა კლასი.

(ბ-ნ ივანე გომართელის წერილის გამო).

ერთი საერთო თვისება აქვთ შეთვისებული ჩვენ ყველა ჯურის მოწინააღმდეგეთ ბურჟუა-ლიბერალებიდან დაწყებული ნაციონალისტ-ავტონომისტ-ფედერალისტებამდე. ეს თვისება, ე. ი. იმათ მიერ შესისხლხორცებული ტაქტიკა ჩვენ შესახებ, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთ და იმავე საბუთს, ერთ და იმავე მაგალითს წალმა-უკუღმა ატრიალებენ. დღეს რომ ამა თუ იმ საბუთს ანუ მაგალითს ჩვენ დასამარცხებლათ ხმარობენ, ხვალ იმავე საბუთს ანუ მაგალითს თითონ იმოწმებენ თავიანთ შეხედულების გასამართლებლათ. როცა დაჭირდებათ, და შემთხვევა ნებას აძლევთ, დასაკლეთ ევროპის მაგალითი და ჩვენი საზღვარ-გარეთელ ამხანაგების პრაქტიკა მოყავთ ჩვენ წინააღმდეგ თავიანთ შეხედულების თუ მოსაზრების გასამართლებლათ; მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, ე. ი. ჩვენ დასამარცხებლათ საჭიროა დასავლეთ ევროპის მაგალითის და ჩვენი იქაური ამხანაგების პრაქტიკის უარყოფა, მაშინ ისინი ურცხვათ გაიძახიან, რომ საზღვარ-გარეთი სხვაა და ჩვენი ქვეყანა კიდევ სხვაა. რაც იქ შესაძლებელია, ჩვენში ის შეუძლებელიაო და სხვა ამ გვარები. მკითხველი ადვილათ მიხვდება, რომ აქ ახალი არაფერი არ არის, და თუ მაინცა და მაინც ჩვენი მოწინააღმდეგები, ბურჟუაზიის იდეოლოგები, ასეთ ტაქტიკას ადგანან, ეს მხოლოთ იმიტ აიხსნება, რომ ასეთი საშუალებით ადვილათ უნდათ ფონს გავიდენ. ისინი აშკარათ ხედვენ, რომ იმათ ფლიდურ მოღვაწეობას ნიადაგი თან-და-თან ეკარგება; რომ იმათ ვერ შველის ვერც ნაციონალისტური მოთქმა-გოდება და ვერც ცრუ-დემოკრატიული ქადაგება. რაც უნდა ბურუსში გახვიონ თავისი სურვილი და განზრახვა, რაც უნდა ეროვნული და გინდ დემოკრატიული საფუძველი ეძიონ თავის ბურჟუაზიულ მისწრაფებათა დასამალავათ, ყოველივე ეს დღეს სრულებით ამაო ხდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითომც იმათ მიერ დაგებულ ბადეში სრულებით არავინ ებმებოდეს. ხასიათის სისუსტის თუ მტკიცე და გარკვეული მიმართულების უქონლობის გამო იმათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ლათაიები ხალხის საერთო ინტერესზე ბევრს ითრევს ჩვენი ბურჟუა-ნაციონალისტების მიერ დაგებულ მახეში. ამის ცოცხალ მაგალითს ბ-ნი ივ. გომაროელი წარმოადგენს.

ჩვენ აქ ვერ შევუდგებით იმას გამოძიებას, თუ ბ-ნ გომართელმა როგორ დაიწყო იმ ახალი სოის „დემოკრატიზმის“ ქადაგება, რომელიც ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიას წარმოადგენს და რომელსაც ადგას განახლებული „ივერიის“ რედაქცია. შეიძლება მკითხველისათვის ეს საინტერესო იყოს, მაგრამ აქ ამ კითხვას ვერ შევეხებით. ჩვენ აქ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ბ-ნ ივ. გომართელის ერთ წერილზე, სახელდობ „მუშათა კლასი და ხალხი“, რომელიც გაზ. „ივერიის“ № 145-ში დაიბეჭდა და რომელიც თითქმის სავსებით ახასიათებს ბ-ნ გომართელის დღევანდელ პოზიციას. თუ ბ-ნ გომართელის «ახალი» პოზიციის ღასაფასებლათ საკმარისი მასალა ჯერ კიდევ არ გვქონდა, ხსენებული წერილის გამოქვეყნების შემდეგ ეს უკვე აღარ ითქმის. ბ-ნი გომართელი ამ წერილით თითონ ავსებს იმ ნაკლს, რომელიც აქამდის საზოგადოებაში ორაზროვანებას ბადებდა მის შესახებ. მართალია, ჩვენი ავტორი სრულებით ჯერ კიდევ ვერ გამოთხოვებია წინანდელ თავის პოზიციას, რასაც მისი ნაწერების და განსაკუთრებით ზევით დასახელებული წერილის ზოგი ადგილები და აშკარა წინააღმდეგობანი მოწმობენ, მაგრამ ეს საზოგადოთ ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთბაშათ დიდი ნახტომის გაკეთება ადვილი საქმე როდია.

სიმარტლის გამოსარკვევათ საჭიროა სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ ბ-ნ გომართელის ნალაპარაკევი. აი რას ამტკიცებს ჩვენი ავტორი:

„როდესაც რომელიმე თავადი იცავს ან თხოულობს რაიმე წოდებრივ საქმეს და ამავე დროს აცხადებს: ეს საქმე წოდებრივი კი არა საერთა, – აქ შეცდომა აშკარაა, ამგვარი პირი იცავს მხოლოთ წოდებრივ ინტერესს. როდესაც რომელიმე ბიუროკრატი იცავს ისეთ პროექტს, რომელიც ბიუროკრატიას კიდევ უფრო აძლიერებს, ამავე დროს კი ამ

პროექტის დამცველი გვიმტკიცებს: ამას მოითხოვს მთელი სახელმწიფოს ინტერესიო, აქ შეცდომა ყველასათვის თვალსაჩინოა. როდესაც რომელიმე ბურჟუა გადმოდგება და ამტკიცებს: ბაჟი და თორმეტ საათის სამუშაო დღე სახელმწიფოს წარმატებისა და ერის კეთილდღეობისათვის საჭიროაო, აქაც შეცდომა ადვილი დასანახავია,—ბაჟიცა და თორმეტი საათის სამუშაო დღე ჯიბეს უსქელებს მხოლოთ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიას. ხოლო როდესაც რომელიმე დამცველი პროლეტარიატის ინტერესებისა გადმოდგება და ამტკიცებს: პროლეტარიატის ყოველი ინტერესი იგივე ხალხის ინტერესებიაო, აქ ბეგრა ჩვენგანი გვრჯვითარ შეცდომას ვერა ხედავს, თუმცა აქაც არის დიდი შეცდომა და იმ გვარივე შეცდომა, როგორც ჩამოთვლილ მაგალითებში.

რა არის თავად-აზნაურობა? წოდება, ნაწილი ერისა; ამიტომ მისი ინტერესებიც წარმოადგენენ წოდებრივ ინტერესებს და არა ეროვნულს. რა არის ბურჟუაზია? კლასი, ნაწილი ერისა; ამიტომ მისი ინტერესებიც კლასობრივია და არა ეროვნული. რა არის პროლეტარიატი? კლასი ანუ ნაწილი ერისა. არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი არ წარმოადგენს მთელი ერის უმრავლესობას და ამიტომ პროლეტარიატის დღევანდელი ინტერესებიც წარმოადგენენ კლასობრივ ინტერესებს და არა ეროვნულს“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ).

ამნაირათ, ბ-ნი ივ. გომართელი ერთნაირათ უყურებს, როგორც ფეოდალურ და ბურჟუაზიულ პარტიებს, ისე პროლეტარიატს. მის თვალში კლასობრივ ინტერესების დაცვაში პროლეტარიატი იმდენათაა მართალი, რამდენათაც თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია, როცა ამ უკანასკნელთ თავისი კლასობრივი ინტერესები მთელი ხალხის, ანუ ერის ინტერესებათ გამოაქვთ. რამდენათაც შემცდარი არიან აზნაური და ბურჟუა, როცა ისინი თავის კლასობრივ ინტერესებს მთელი ხალხის ინტერესებათ სახავენ, იმდენათვე შემცდარია პროლეტარიატი, როცა მას თავის კლასობრივი ინტერესები ხალხის უმრავლესობის ინტერესებათ მიაჩნია, ვინაიდგან, როგორც ამტკიცებს ბ-ნი გომართელი, „არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი არ წარმოადგენს მთელი ერის უმრავლესობას“-ო. შევჩერდეთ აქ, და ვიკითხოთ, თუ რას გვეუბნება ამით ბ-ნი გომართელი? ნუ დაივიწყებთ კი, რომ ბ-ნი გომართელი ამას წინეთ გვიმტკიცებდა, რომ „მოგზაურსა“ და მას შორის მხოლოთ „წვრილმანი უთანხმოება“ არის და სხვა არაფერიო (იხ. «მოგზაური» № 28).

ზევით მოყვანილ ამონაწერიდან მხოლოთ ერთათ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, სახელდობ: კლასობრივი წინააღმდეგობის მხრით ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა და პროლეტარიატი ერთ და იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან; ესენი შემცდარი მხოლოთ იმაში არიან, რომ თითოეულთ იმათგანს თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები მთელი ერის ინტერესებათ გამოაქვს. ეტყობა, ბ-ნი გომართელი არ დაფიქრებულა, როცა ზევით მოყვანილ სიტყვებს წერდა. განა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის მდგომარეობა ერთია? ბურჟუაზია გაბატონებულია როგორც ნივთიერათ, ისე პოლიტიკურათ მუშა ხალხზე ⁊ მისი ინტერესების დაცვა ამ ბატონობის დაცვას მოასწავებს, ე. ი. მისი ინტერესების დაცვა ნიშნავს მუშა ხალხის გაყვლეფის, შეჩვიწროების და დაჩაგვრის დაცვას. ასე ითქმის თავად-აზნაურობაზედაც, რამდენათაც იგი შეიარაღებულია უფლება-პრივილეგიებით და რამდენათაც იგი მიწათ-მფლობელი კლასია. პროლეტარიატი კი დაჩაგრული და გაყვლეფილი კლასია. ამიტომ როცა იგი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის ჭრუნავს, თუნდაც ეს ერის უმცირესობას წარმოადგენდეს, მაინც სიმართლე მის მხარეზეა და არა ბურჟუაზიის. მაგრამ განა პროლეტარიატი, ე. ი. საზოგადოების გაყვლეფილი ნაწილი ხალხის უმცარესობას შეადგენს? მართალია, ბ-ნი გომართელი გვეუბნება, რომ არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი ერის უმრავლესობას არ შეადგენსო, მაგრამ ამას იგი ვერაფრით ვერ ამტკიცებს და არც შეუძლია რომ დაამტკიცოს, ვინაიდგან წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა მოძრაობას ნიადაგი ეკარგება. პროლეტარიატი, ე. ი. ხალხის გაყვლეფილი ნაწილი ყოველგან დიდ უმრავლესობას შეადგენს და მაშასადამე მისი ინტერესებიც ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს შეიცავენ. „პროლეტარიატი, გვეუბნება კ. კაუტცკი, სრულებით განსაკუთრებული კლასია. იგი არა თუ შეადგენს მცხოვრებლების დიდ უმრავლესობას — ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე—იგი აგრეთვე ერთათ ერთი კლასია, რომელიც ცხოვრობს თავის შრომით, რომელიც სხვისი ოფლით არ ძღება *). მეორე ადგილას იგივე ავტორი ამბობს: «მუშათა პარტია, იმიტომ, რომ, იგი პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების წარმომადგენელია, ამიტომაც იგი უფრო, ვინემ სხვა რომელიმე პარტია, მასსის საერთო ინტერესებს წარმოადგენს. და იგი წარმოადგენს ამას არა მარტო იმიტომ, რომ პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას შეადგენს; არამედ იმიტომაც, რომ პროლეტარიატის ინტერესები დღეს ერის ინტერესებს შეიცავენ“ **). ეს დასკვნა არ არის მოცლილი კაცის ფანტაზიის ნაყოფი; იგი დამყარებულია ერთი მხრით სტატისტიკურ ცნობებზე და მეორე მხრით დღევანდელ საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა შესწავლასა და ანალიზზე. კ. კაუტცკი და მისი ამხანაგები ცხოვრების ზედა პირს როდი უყურებენ; ისინი უკვირდებიან ცხოვრების ყოველ მხარეს, იკვლევენ მის მიმდინარეობას, და მხოლოთ ამის შემდეგ გამოყავთ დასკვნები. თუ ჩვენ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ფხიზელ თვალით შევხედავთ, ჩვენ უეჭველათ შევამჩნევთ, რომ მთელი საზოგადოება ორ არა თანასწორ ნაწილათ არის გაყოფილი. ერთ ნაწილს (უმცირესობას) შეადგენენ ისინი, ვინც მუდამ სხვისი შრომის ნაყოფით ძღებიან, მეორეს—კი (დიდ უმრავლესობას) ისინი, ვინც მუშაობენ მხოლოთ იმიტომ, რომ უმცირესობა მუდამ განცხრომასა და ფუფუნებაში იყვენ. პირველები არიან მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები, ხოლო მეორენი პროლეტარები. რაც დრო გადის, ამ ორ საზოგადოებრივ კლასთა შორის განხეთქილება და წინააღმდეგობა თან-და-თან ძლიერდება, ღრმავდება და იზრდება. აი ამ წინააღმდეგობის გარშემო ტრიალებს დღეს მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება. დღეს ისე ფეხს ვერ მოვცვლით, რომ ამ კლასობრივ წინააღმდეგობას არ წაეტყდეთ. ყოველგან, როგორც ქალაქში, ისე სოფელშიაც, ფეხს იკიდებს და ვითარდება ბურჟუაზიული წესწყობილება; ყოველგან, ყოველ ფეხის გადადგმაზე თქვენ შეგხვდებათ გაყვლეფილი და გამყვლეფელი, მუშა და დამჭირავებელი, ის, ვინც სხვისი შრომით სარგებლობს და ის, ვინც სხვას ყიდის თავის სამუშაო ძალას, ვინაიდგან თავის შესანახათ მას სხვა არავითარი სახსარი აღარ დარჩენია. მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მუშები ერთნაირათ როდი იყვლიფებიან; ე. ი. გაყვლეფის პირობები ყოველგან, მაგალ., ქალაქში და სოფელში, სხვა-და-სხვა ნაირია. ქარხნის და ფა-

*) К. Каутскій. Классовые интересы. გგ. 11

**) იქავე. ხაზს ჩვენ ვუსვამთ.

ბრიკის მუშა, რომელსაც გამოცლილი აქვს ხელიდან ყოველ გვარი საწარმოვო იარაღი, სხვა პირობებში იყვლიფება, ვინემ გლეხი, რომელსაც დანის პირის ოდენა მიწა შერჩენია. ეს უკანასკნელი არსებითათ ისეთივე მუშაა, როგორც პირველი, მხოლოთ ბევრათ უფრო უარეს პირობებში ჩაყენებული, მაგრამ იმ გარემოების გამო, რომ მას რაღაც თავის ცოდვათ, ერთი ციდა მიწა შერჩენია, მას პროლეტარიატიდან აცალკევებენ და თითქმის მას პროლეტარზე მაღლაც აყენებენ. ეს შემცდარი და ყალბი შეხედულებაა. და აი სწორეთ ასე იქცევა ბ-ნი გომართელიც.

ბ-ნ გომართელის აზრით, პლროლეტარი მხოლოთ ქარხნის და ფაბრიკის მუშას ქვია (და ისიც მხოლოთ საზღვარგარეთ და არა ჩვენში, როგორც ამას ქვევით დავინახავთ). მისი აზრით პროლეტარიატში არ შედის არც წვრილი ხელოსანი, არც წვრილი მოვაჭრე, რომელსაც თავისი საკუთარი არაფერი არა აქვს და მხოლოთ სხვისი მოგებისათვის მუშაობს, რომ დღიური შრომით თავი ირჩინოს, და არც წვრილი, ,,ჩაჩანაგებული და გაჭირვებული გლეხობა. ამიტომ ჩვენ ავტორს პროლეტარიატის გვერდით რაღაც ახალი კლასი გამოყავს, რომელსაც იგი ,,ხალხს'' უწოდებს. ბ-ნი გომართელი აძასთანავე გვეუბნება, რომ პროლეტარიატის და ,,ხალხის'' ინტერესი დღეს სულ სხვა-და-სხვაა. იგი გადაჭრით ამბობს: ,, მას (პროლეტარიატს) აქვს ბევრი მხოლოთ საკუთარი, მხოლოთ კლასობრივი მისწრაფება ანუ ინტერესი, ბევრი ისეთი რამ განსახორციელებელი და გასაკეთებელი, რაც პირდაპირ ხალხის კეთილდღეობას არ შეეხებაო''. როგორც ხედავთ, ბ-ნ გომართელის აზრით, პროლეტარიატის და ,,ხალხის'' ინტერესები ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რომ პროლეტარიატი და ,,ხალხი'' სულ სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ კლასებს წარმოადგენენ. მაგრამ ბ-ნ გომართელს თითონ შეუნიშნებია ასეთი დასკვნის და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ იგი გვეუბნება, რომ ,,პროლეტარიატი და ხალხი ერთი მეორის წინააღმდეგი, ერთი მეორის მტერი არ არისო; მათ აქვთ თავთავისი საქმე, მაგრამ ამავე დროს აქვთ საერთო საქმეც! ამიტომ არც დემოკრატია და სოციალ დემოკრატია არიან ერთი მეორის მტრები, თუ კი მათ საბოლოო მიზანი ერთნაირათ ესმისთო''. აზრის ასეთი წინააღმდეგობა ავტორის ულოგიკობით უნდა აიხსნას და სხვა არაფრით. თუ კი პროლეტარიატს ბევრი საკუთარი, კლასობრივი მისწრაფება და ინტერესები აქვს, ბევრი ისეთი რამ, რაც მხოლოთ მისი კეთილდღეობისათვის არის საჭირო, და არა ხალხისათვის, ჩანს „ხალხსაც“ ექნება ასეთი კლასობრივი მისწრაფება და ინტერესი, რაც მხოლოთ, მისი (ხალხის) კეთილდღეობისათვის არის საჭირო და არა პროლეტარიატისთვის. ამ მხრით ბ-ნ გომართელს, როგორც ხედავთ, ლოგიკა არ ღალატობს. როგორც ვიცით, იგი ამტკიცებდა რომ პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას არსად, არც ერთ სახელმწიფოში არ შეადგენსო; ამით მას პროლეტარიატის მნიშვნელობის დამცირება უნდოდა. მაგრამ რომელიმე კლასი ხომ უნდა შეადგენდეს ხალხის უმრავლესობას? რომელ კლასს ჩათვლიდა ბ-ნი გომართელი ასეთათ? ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტამ ბ ნი გომართელი დიდ განსაცდელში ჩაგდო. პროლეტარიატს იგი ვერ ჩათვლიდა ასეთ კლასათ, რადგანაც ამით მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში იზრდებოდა. მით უმეტეს ვერ ჩათვლიდა ასეთათ ვერც თავად-აზნაურობას და ვერც მსხვილ ბურჟუაზიას, მაშასადამე, დარჩენა მხოლოთ საშუალო და წვრილი ბურჟუაზია და აი იგიც სწორეთ ამას დააწვა თავზე. მხოლოთ საჭირო იყო სხვა სახელის დარქმევა, თორემ მას ბურჟუაზიის იდეოლოგათ გამოაცხადებდენ და ეს სახელწოდება ხომ პირიქით ეჯავრებათ ჩვენ ბურჟუაზიებს. და აი ბ-ნ გომართელმაც ბურჟუაზიისათვის ახალი სახელწოდება გამოიგონა, ე. ი. «ხალხი». ახლა ჩვენ ვიცით, თუ ვინ არის ბ-ნ გომართელის «ხალხი»; ვიცით აგრეთვე ისიც, თუ რისთვის ცდილობს იგი პროლეტარიატის მნიშვნელობის დამცირებას. ისიც ვიცით, თუ ვისკენ არის მიმართული მთელი მისი სიმპატია, ვისი მდგომარეობის გაუმჯობესობა აწუხებს და აფიქრებს მას.

მაგრამ ბ-ნი გომართელი მიდის უფრო შორს: იგი სრულებით უარყოფს ჩვენში პროლეტარიატის არსებობას, და ამ მხრით იგი უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, ვინემ «ივერიის» ერთი მეთაურის ავტორი, რომელიც ამას წინათ, „კავკასიის კალენდრის“ წყალობით, ამტკიცებდა, რომ საქართველოში სულ რაღაც ოციოდე ათასი მუშა არისო... ,,ჩვენში — წერს ბ-ნი გომართელი—არიან პროლეტარები, მაგრამ პროლეტარიატი ჩვენში ჯერ-ჯერობით არ არსებობსო;—ჩვენში არის მუშათა კლასი, მაგრამ მუშათა კლასი და პროლეტარიატი ერთი და იგივე არ არის, პროლეტარიატს სოფელთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილი აქვს, ის მიწას მოკლებულია, როგორც წარმოების საბსარს და ფიზიკური ძალის გაყიდვით ირჩენს თავს. ქართველ მუშათა კლასს კი მჭიდრო კავშირი აქვს სოფელთან; ის მიწის მესაკუთრეა ჯერჯერობით. ქალაქში მოგებული ფულით (კარგი მუშა ყოფილა, თუ ფულს იგებს!) ის სოფელში იუმჯობესებს თავისს სახლ-კარს, თავის ცხოვრებას“. ამნაირათ გამოდის, რომ ქართველი პროლეტარები ნამდვილი ბურჟუები ყოფილან. სოფელში იმათ საკმარისი მიწები აქვთ საკუთრებათ, ქალაქში კი ისინი ფულის მოგებისთვის მიდიან, რის საშუალებით კიდევ უფრო იუმჯობესებენ თავის ცხოვრებას, აგებენ კარგ სასახლეებს, იძენენ მიწებს და აუმჯობესებენ მეურნეობას. აი თურმე ვინ არიან ჩვენი ქალაქის მუშები! აბა ერთი მითხარით, რომელ ბურჟუას აქვს ასეთი ცხოვრება. ზამთრობით ისინი ქალაქში არიან და ფულს იგებენ, ზაფხულობით კი ქალაქ გარეთ მიდიან, სოფელში ისვენებენ! ვინ თქვა, ვინ მოჰყრა ქართველი მუშის გაჭირვებული მდგომარეობა? მუშა ხოლოთ სადღაც შორს, საზღვარგარეთ არის გაჭირვებული; იქ მას სოფელთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილი აქვს, საკუთარი მიწა არ მოეპოვება და მხოლოთ თავისი ფიზიკური ძალის გაყიდვით ცხოვრობს! ჩვენში კი სულ სხვაა! მაგრამ ჩვენ ავტორს ნუ გონია, რომ მას აქ რაიმე ორიგინალობა გამოეჩინოს. მის სამწუხაროთ უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს კაი ხანია რაც გადაღეჭეს ჩვენმა კრუ-პატრიოტებმა, და ამ გადაღეჭილი აზრის განმეორება სრულებით ვერაფერს შეძენს ბ-ნ გომართელის „დემოკრატიზმს“.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მეტათ მიგვაჩნია იმის განხილვა და დაფასება, თუ რა პრაქტიკულ ზომებს ურჩევს ბ-ნი გომართელი დღეს საზოგადოებრივ მოღვაწეთ. მაგრამ ორიოდე სიტყვა ამის შესახებაც მსურს გაგუზიარო მკითხველს, რადგანაც ბ. გომართელის დასახასიათებლათ ეს მნიშვნელობას მოკლებული არ არის. „ჰკუა და ტაქტიკა იმაში კი არ მდგომარეობს—გვეუბება ჩვენი ავტორი,—რომ ერთი მეორეს დავეჯიბრნეთ ისეთი კითხვების წამოყენებაში, რომელთა გადაწყვეტა შორეულ მომავალს ეკუთვნის, არამედ მხოლოთ იმაში, რომ ისეთი საჭიროებანი წამოვაყენოთ, რომელთა დაკმაყოფილებაც დღესვე არის საჭირო და ასასრულებელი“. ასეთები არის: მიწის სივიწროვე, განათლების, ჯანმთელობის და მეურნეობის რიგიან გზაზე დაყენება“. ბ-ნ გომართელის აზ-

რით, «ყველა პარტიები, ყველა პროგრესიული წევრი საზოგადოებისა უნდა დაეხმაროს ჩვენ გლეხობას მისი საკუთარი მისწრაფების განხორციელებაში. ჩვენ გლეხს დღეს შიან უმიწობის გამო *) და ამიტომ ჩვენ სიტყვით, წერით (?!), თუ საქმით უნდა მოუპოვოთ მას ნადელი საკუთრებათ, დავუბრუნოთ, რამდენათაც კი შესაძლებელი იქმნება (sic!), ჩამონაჭრები, მოუპოვოთ საკმაო საბალახე და ტყე უსასყიდლოთ და მემამულეთა მიწები ავაღებინოთ იმ გვარ პირობებში, რომ გლეხი არ იყვლიფებოდეს ისე როგორც, აქამდე იყვლიფებოდა. ამაზე მეტის განხორციელება დღევანდელ პირობებში მე შეუძლებლათ მიმაჩნია". ამ გზით, ჩვენი ავტორის აზრით, გადაწყდება არა მარტო აგრარული კითხვა, არამედ მუშების კითხვაც, რადგან ეს უკანასკნელები სოფლის წევრები არიან, „ცალი ფეხი სოფელში უდგიათ და ცალი ქალაქში". ვინც ასე ფიქრობს, იგი მხოლოთ თავის თავს ატყუებს. ხოლო როცა ეს საჯაროთ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვთ, ჩვენ ვალდებული ვართ გამოვამჟღავნოთ მისი ბურჟუაზიული და რეაქციონური ხასიათი.

ფ. მახარაძე.

სხვა და სხვა ამბები.

ს. ხურვალეთი (გორის მაზრა). 15 მარიამობისთვეს, ასე შუადღე იქნებოდა, რომ ს. მამაცაშვილის სახლთან აქაური წითელი რაზმელები შეიყარენ. სულ სამოც კაცამდე იქნებოდენ. მათ შორის გლეხებიც იყვენ. მიზეზი ამ შეკრებისა ის იყო, რომ ამ **სახლში დროებით დაბანაკებულიყო „კეთილ-შობილთა" შავი რაზმი** ანუ, როგორც უველგან ეძახიან, თავად-აზნაურთა მილიცია. აქ იყვენ ზ. აბდუშელიშვილი, ა. ჩუბინაშვილი, გ. ორჯონიკიძე და სხვანი. წითელ რაზმელებს მათთვის იარაღის წართმევა უნდოდათ. მაგრამ მილიციონერებმა, გამორეკეს რა სახლის პატრონები, ჩაიკეტეს კარები და სასროლათ მოემზადენ. კარზე მყოფთ მშვიდობიანათ სურდათ საქმის დაბოლოვება. ამიტომ ერთმა გლეხთაგანმა, მიხაკო ატენელმა სთხოვა წითელ რაზმელებს, იარაღი არ ეხმარათ; თვითონ კი გაემგზავრა მამაცაშვილის სახლის სამზარეულოსაკენ. შევიდა თუ არა ოთახში, კარზე დიდი ხმაურობა მოისმა; არ გასულა სულ ხუთი წუთი, რომ ამ ხმაურობას ზედ თოფის გრიალიც მოყვა...

როგორც შემდეგ გამოირკვა, მილიციონერებს და კერძოთ აბდუშელიშვილს ჯერ უშვერის სიტყვებით გამოელანძღა ატენელი და შემდეგ ებრძანებინა: «დახვრიტეთ ეგ ხალხის ამჯანყებელი!» ამ «სასახელო» განაჩენის სისრულეში მოყვანა ჩუბინაშვილმა იკისრა და ატენელს ოთხჯერ თოფი ესროლა, რომელიც იმავე დროს გაკვებული ეჭირა მილიციონერს ორჯონიკიძეს. აბდუშელიშვილი ამითაც არ დაკმაყოფილდა: მისი ბუნება უფრო მეტ სიმკაცრეს ითხოვდა ამ საქმეში და უბრძანა თავის «კეთილ ქვეშევრდომთ» თავი მოეკვეთათ ატენელისათვის. ატენელი, უკვე ფერმიხდილი და სულთ-მობრძავი, შეხვეწნია, „თავს ნუ მომჭრით, მე ამ ოთხმა ტყვიამაც კარგი დღე დამაყენაო!" ამის შემდეგ ა. ჩუბინაშვილს ტახტის ქვეშ შეეგდო წიხლის ცემით ატენელი.

რასაკვირველია, მილიციონერებს შეეშინდათ შურის ძიებისა და სროლა ასტეხეს ოთახიდან. ესროდენ წითელ რაზმელებს...

გაიგეს რა ეს ამბავი გლეხებმა, მაშინვე შეიკრიბენ ამ ბრძოლის ველთან; მაგრამ... გვიანღა იყო... მილიციონერები გაპარულიყვენ. გლეხები მისცევიდენ სახლს და ქურდობით ქაკლეს; ხოლო საბრალო ატენელი ხელში აყვანილი გაასვენეს კარში. საბრალოს დარჩა დედა, ცოლი და სამი პაწია ბავშვი...

— 2 აგვისტოს რკინის გზის სახელოსნოებთან მოჰკლეს უფროსი მუშა ცეპკინი. მკვლელი მიიმალა.

— სოფ. გურჯაანში სტრაჟნიკებს სოფლელებთან შეტაკება მოსვლიათ. ერთი გლეხი მოუკლავთ, ხოლო მეორე მძიმეთ დაუჭრიათ.

— სოხუმის ადმინისტრაციას, „ჩერ. ვესტ." სიტყვით, სამართალში მიუცია ადგილობრივი მცხოვრებნი რიცხვით 20 კაცი, რომელთაც ამას წინად, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, სოხუმში ქურდები სახალხოთ გაასამართლეს. სამართალში მიცემულთა რიცხვში ზოგი საზოგადო მოღვაწეც ურევია თურმე.

— ქ. პიატიგორსკში პოლიციას იარაღის საწყობი აღმოუჩენია. უპოვიათ ორი ყუთი ბერდანის თოფები და მრავალი პატრონები. დაუტუსაღებიათ ერთი სომეხი.

— ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ გაზ. ლომაიასა და ალ. შურგაიას, რომელთაც ქ. ფოთში ჟანდარმის უნტერ-ოფიცერის მოკვლა ბრალდებათ, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის ბრძანებით, სამხედრო სასამართლო გაასამართლებს.

— როგორც სოხუმიდან იწერებიან, იქაური ციხიდან ექვსი ტუსაღი გაპარულა.

— ქუთაისიდან დეპეშით იუწყებიან: 24 აგვისტოს აქაური საოლქო სასამართლოს არქივი გაძარცვეს. წაიღეს ორმოცამდე რევოლვერი და სხვა იარაღებიც.

— ბაქოს გუბერნატორი იუწყება: შერიგების შემდეგ სროლა ისევ ატყდა. ესროდენ გენერალ-გუბერნატორის სახლსაც. ბალახანაში არტილერია მოქმედებდა. ნავთის ქარხნების მომეტებული ნაწილი გადაიწვა.

— ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის ამბების შესახებ «კავკაზ»-ს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ბალახანასა და შავ ქალაქს ცეცხლი აქვს მოდებული. პოლიცმეისტერს სამჯერ ესროლეს. თოფის სროლა ღამე ისევ გაძლიერდა.

— მანთაშევის კანტორამ დეპეშა მიიღო, რომ საბუნჩასა, ბალახანასა და რომანაში ყველა «ვიშკები» გადამწვარა.

— თიანეთის მაზრაში ქისტების ასალაგმად გამგზავრებული ჯარი მისულა სოფ. შატილში და, როგორც გვატყობინებენ, სოფ. მითხოს მთასთან ქისტებთან დიდი სროლა ჰქონია. ჯარს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მიუღწევია მითხოში, რომლის მცხოვრებნიც ჯარის მისვლამდე სხვაგან გახიზნულან.

— ოზურგეთში დაბანაკებული ჯარი აბარგულა და წასულა. იმის მაგივრათ ორი ბატალიონი პლასტუნები გადმოჰყავთო.

დაბა-სოფლის ამბები

ქ. ბაქო. საწყალი „ბიუროკრატი!... ძლიერი და მუდამ სრულ განცხრომაში მყოფი ის ამ მოკლე ხნის წინათ მედიდურათ დაუურებდა მთელ სახელმწიფოს: მას არ აწუხებდა ხალხის კვნესა-ვაება, არ აწუხებდა ხალხის განათლებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვა,

*) ეს რაღაც არ ეკარება ავტორის ზევით მოყვანილ აზრს, რომ ქართველ მუშებს საკუთარი მიწები აქვს სოფელშიო. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა პირველათ როდია ბ.ნ ივ. გომართელის ნაწერებში.

მს არ აშინებდა მუშა ხალხის არეულობა. არც ერთ „ბიუროკრატს“ ე მოაგონდება, რომ სამწირო უოფილიუოს და შეძლებოს გვპრათ ამისახური არ გაეწიოს ბურჟუაზიისათვის. და მიუხედავათ ასეთი კეთილისუოფისა, დღეს, ბურჟუაზიაც ოპოზიციაში ჩაუდგა ბიუროკრატებს და სხვებთან ერთათ გაიძახის: „ძირს ბიუროკრატიული მთავრობა!“-ო. მართალია, საქმით ჯერ არაუერი საშიში არ მიუძღვის ამას, მაგრამ ეს უარებელი „რეზოლიუციები“ ურიად დამფიქრებელია. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გალდებული კლასიც უკმაუოფილო უოფილა დღევანდელ წეობილების და მომავალი დემოკრატიული წეობილების მოტრფიალე? განა „რეზოლიუციებით“ ისინი ბიროვნების, კრების, სიტუვის, ბეჭდვის, კავშირის, გათიცვის თავისუფლებას არ მოითხოვენ? სუოველთაო, ბირდაბირი, ფარული და უველასათვის სწორი საარჩევნო უფლება ხომ ამათაც მოითხოვეს? მაშ რადა დარჩენილა? გამოდის, რომ ორივე მოპირდაპირე კლასი ერთი მიზნისაკენ მიიწრაფიან. დღეს ორივე კლასის სურვილი ერთი უოფილა და, შეიძლება, ამ პოლიტიკურ მიზანს ეკონომიური განხეთქილებაც კი ჩაუქრია.

მაგრამ, განა ეს ასეა?

შენ კარგათ იცი, ჩემო მკითხველო, თუ როგორია ეს „ერთობა“, ან რამდენათ შესაძლებელია გაუქმეფილ კლასისათვის თავის გამეუქმეფელთან შეერთება, ისიც კარგათ იცი, თუ გისთვის უფრო ეს ხელსაურელი. იცი, რომ მაშინ, როცა თანამედროვე წეობილების გერი—მუშა აბრძოლა და აბრძოლა, ბურჟუაზია—თანამედროვე წეობილების განებიერებული შვილი—თეთრსა და ლექტრონით გადაყვაუებულ დარბაზებში ბჭობდა და მხოლოდ „რეზოლიუციებით“ ეხმარებოდა „სიაროლ“ სქმეს. ბურჟუაზიას არ უოფნის ეკონომიური ბატონობა, მისი სურვილია პოლიტიკურობაც განატონდეს, ბურჟუაზიის სურვილია დემოკრატიული წეობილება (ეს მისი იდეალია) და ვინაიდან იცის, რომ ჯერჯერობით ამისთვის იბრძოლის მშრომელი ხალხიც, ის ამოეფარა მას უკან და სხვისი ხელით ცდილობს ეკლებში ვარდის მოკრეფას. და აი ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები მშრომელ ხალხს თავს უკატუნებენ. მაგრამ ეს მანამდის, სანამ სახოგადო პოლიტიკური საქმე კეთდება და ჩაგრული ხალხი თავის საკუთარ მოთხოვნილებას არ წამოუუენებს; აქ კი არ დაიოონებს გაუმაძღრი კაპიტალისტი კვინტი გამოკრას ადამიანურ უფლებისათვის მებრძოლს.

ამის მაგალითები შენც ბევრი გეცოდინება, მკითხველო; მაიოხედე ირგვლივ და კვლავ ბევრს დაინახავ. მე კი მინდა შენი ყურადღება ერთ ამათგანზე შევაჩერო.

დიდის რიხით ალაპარაკდენ ამასწინათ ბაქოელი ნავთის მწარმოებლები. „რეზოლიუცია“ „რეზოლიუციაზე“ გამოქონდათ, „სიტუვების“ სიტუვებზე აბამდენ .. ინჟენერი ბ. ხატისოვი ისე გაიტაცა ამ გარემოებამ რომ ბირდაბირ გამოესარჩლა მუშებს. მისი მოხსენება „Два слова о послѣднихъ двухъ рабочихъ стачкахъ въ гор. Баку“ ადტაცებით მიიღო ათასმა კაცმა, და სახოგადოების უმეტესობა მწარმოებლები და წვრილი ბურჟუაზია იეო. არავის, აქ მეოფს, არ გაკვირვებია, რომ „პატივცემული“ ინჟენერი მუშებს გამოესარჩლა. ეს კი არა, შესანიშნავი „რეზოლიუციაც“ გამოიტანეს. „მიგიდეთ რა მხედველობაშიო—სწერდენ სხვათა შორის ისინი, რომ არსებულ თანამედროვე ბიუროკრატიულ წეობილებაში შეზღუდვა ბიროვნების თავისუფლებისა, ადკრძალვა კრებების და კავშირების, სიტუვის და ბეჭდვის და გათიცვების თავისუფლებისა ხელს უშლის მუშა ხალხს, რომლის რიცხვი რამდენიმე ათასია ბაქოს რაიონში, მოიდაპარაკოს თავის გასაჭირზე... რომ უფლებების მოიჯნება სახოგადოების ერთ ნაწილისათვის სრულიად ეწინააღმდეგება თვით თავისუფლებას, ვსცანით, რომ საჭირო მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა, რომელიც არჩეული უნდა იქნენ საოველთაო, თანასწორი ბირდაბირ და ფარულ ქენჭის ურის საშვალებით, ისეთ კანონების დასადგენათ, რომელიც უზრუნველუოფს ხალხის სიტუვის, ბეჭდვის უველა ენებზე, რწმენის, კრების, კავშირის თავისუფლებას, რაიცა... საშვალებას მოცემს მუშა ხალხს ბიუროკრატიის ოხერის გარეშე გადაწევიტოს მუშათა ვეკრობათ, რომ ეს რეფორმა, და მხოლოდ ეს, უზრუნველ—უოფს მუშისათვის სამუშაო ქირას, ხოლო მწარმოებელს კი დაარწმუნებს რომ შესაძლოა წარმოების განვითარება“ („Право“) № 15).

ეს ის დრო იეო, როცა მთელი ბაქო ჯერ კიდე ვერ გამორკვეულიეო საშინელ თებერვლის დღეებიდან. ცხოვრებას სულ სხვა ელფერი ედვა და მშრომელი ხალხიც, თავგზარდაცემული ამ მოულოდნელ სისხლის ღვრით, შიშობდა კვლავაც არ განმეორებულიეო საშინელი დღეები. მართალია ბოდმით ავსილი, მაგრამ მოთმინებით სავსე, ის უდგა თავის დაზგას თუ სპბურღავ მანქანას და მუშაობას განაგრძობდა... ძლიერ საეჭვოდია მრეწველისათვის მორჩილი მუშა და აი ბაქოელ მრეწველთაც არ დაიშურეს ამ „საეწუნარის“ დროს ერთი თეთრი „რეზოლიუცია“. შეეხარი სიტუვები იეო! ხოდა სქმე... საქმე კი რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოთ მოემართეს. თებერვლის შავმა დღეებმა ერთი კარგი გაკვეთილი მისცა იმათ: მართალია ახლა თათრები მარტო ხომხებს ჟლეტენდენ, მაგრამ საკმარისია ვისარგებლოთ მათი უგნურობით და აუხსნათ მათ, რომ სხვებიც არიან არა კეთილსაიმედონი, საკმარისია ვუხსნათ, რომ მუშების „ბუნტობა“ და გათიცვები უკანონოა და ისინი ჩვენც გვგვიწეენ მფარველობასა. აქ კი სიტუვა და საქმე ერთი შეეკრა. მთელ ბაქოსანსა და ბაბი-ეიბათს (ბაქოს მიდამოებია სადაც უმთავრესათ ცხოვრობს მუშა) მოედვა „შავი რაზმი“. დღეს „შავი რაზმი“ და „ხულიგანი“ ჩვეულებრივი მოვლენაა რუსეთში და შენ, მკითხველო, კარგათ იცი მათი დანიშნულებაც: „მათ უნდა მოსპონ უოველივე უკანონობა და „ამბოხება“, მათ სასტიკათ უნდა დასჯონ უოველ არაკეთილსაიმედო პირი; და აი ეს ხულიგანი, შეიარაღებული თოფ-ბერდანკებით, გამეფებულია ბაქოს მდნებსა და ქარხნებში. დაინახავენ თუ არა „საეჭვო“ პირს (მათი აზრით ხომ უველა საეჭვოა) ქარხნის ახლო, მიეკრდებიან, ჯერ ჯიბეს გაუჩხრეკენ, მერე მიბეეყვენ და მკვდარტოტხალს გაუშვებენ; სადც ოთხ-ხუთ კაცს დაინახავენ თავმოყრილს, ისინიც იქვე არიან და „კანონის“ სახელით დაშლას უბრძანებენ. ამ მხრივ ამათ კიდეც გაეაჯარბებს ნამდვილ პოლიციას და ახლა გვკითხოთ: ვინ გამოაწეო ეს „შავი რაზმი“ ბაქოში? ეს ჩაიდინეს ამ ნავთის მწარმოებლებმა, რომლებიც ამ რამდენიმე თვის წინათ ადგილობრივ ადმინისტრაციას „შავი რაზმის“ შედგენაში ამტეუნებდენ! მაგრამ დღეს რაკი ეს „რაზმები“ მათ ინტერესებს ემსახურება, ამათ არამც თუ ხელი შეუწუვეს იმის გაძლიერებას, ოფიციალური ნებართვაც გამოითხოვეს ამ „რაზმების“ ანუ როგორც თვითონ უწოდებენ „მილიციის“ შესანახათ. ამ დღეებში ნებართვაც მოუვათ. (განა ასეთ „სიმპტიურ“ საქმეზე ვარს ეტეოდენ!). როტშილდის სქმეების გამგეს ბ. ფეიგლს გამოუანგარიშებია, რომ ამ მილიციის შენახვა სახოგადოთ ნავთის მწარმოებლებს დაუჯდება ხუთასი ათასი მანეთი წლიურათ; და ეს მაშინ, როცა ბევრ ქარხნებში სასმელი წეალიც არ მოეძეებათ მუშებს!

ეს კია, რომ სიტუვის და ბეჭდვის თავისუფლება მწარმოებელთათვის უფრო საშიში აღმოჩნდა. განა „ბაქო“-სათვის, მაგ., სრულიად საკმარისი არ უოფილა ორმაგი ცენზურა, სანამ ის ქვეყნის სინათლეს დაინახავდეს. განა „ბაქო“ ბევრ ადგილს უთმობს მუშათა კითხვასო, ალაპარაკდენ ამ დღეებში ერთ სხდომაზე მწარმოებლები. და საჭირო წინადადება მისცეთ რედაქციას ენა დაამოკლოსო. „ჰე რომ შესაძლებელი იოსო, ბრძანა ბ. ხატისოვმა, ხსენებულ მოხსენების ავტორმა, გენერალ-გუბერნატორთან უჩიველებიათ „ბაქოს“ რედაქციის და ხმას გავაკმენდებდითო; მაგრამ უბედურება ესაა, რომ ეს კაგვიგონ, მთელი რუსეთის გაზეთები უბათ აგვიდებენო!“...

ნათქვამიც საკმარისათ მოწმობს, თუ როგორი სურვილებით უოფილან გატაცებული მწარმოებლები და მათი იდეოლოგები, რო-

ცა „რეზოლიუციებს“ სწერენ და თავისუფლებაზე დაღლებენ. და განა ეს კასკვერია?

P. S. ჰქ კაფეტები დაიწყო. ჯერ-ჯერობით კაფეტენ: ტრამვაის მუშები, ნავთ სადგურები, „კავკაზ“-ი და „მერკური“ „კასპი“ და „ნადაჟდა“ და უველა სტამბები.

—

სოფ. კავთის-ხევი. (გორის მაზრა). ადგილობრივმა გლეხებმა შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინეს მემამულეებს:

1) ტყის უფასოთ სარგებლობა ოჯახის საწარმოების დასაკმაყოფილებლათ;

2) ნადელების გლეხების სასუთრებათ გამოცხადება.

3) რაც შეეხება მემამულეების მიწებს, დაღათ უნდა მიეცეს მოსავლის მეათედი (წინეთ მესამედს ვიხდიდით).

გარდა ამისა იყო აგრეთვე ხუთი წვრილმანი მოთხოვნება. მესამე მუხლში მოთავსებული მოთხოვნა შეეხება იმ მამულებს, რომლებსაც 10 დღიურზე მეტი სახნავი მიწა აქვს. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე წინააღმდეგობა მხოლოდ ორმა მემამულემ გაგვიწია, სხვადადგან კი სულარედიქმ და გიკო თარხნიშვილმა. თუმცა სრულიათ ვერ კვიმარჯვეთ, დღიურიდან ახლა მეექვსედი უნდა წაიღონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამითაც დავკმაყოფილდებით.

ამ ნაირათ სადავო დროებით მაინც ადარა გვქონდარა და ჩვენც ხალისიანათ შეუდექით საქმიანობას. 11 მარიამობისთვეს კი შეტრივ გამოჩნდა კომისია. რომელსაც უნდა გამოეკვლია, ის, თუ რა ზარალი მიაუენეს მემამულეებს გლეხებმა, კომისიას თან მოეყო ხუთასამდე სალდათი და უამხ-რუსი. მოინდომეს ხალხის შეკრება, შეგვაგროვეს ძალათ ოთხი სოფლის მცხოვრებნი: კავთიხევიდან, წინარეხიდან, თელათგორიდან და ქვემო ხანდაყიდან და გარშემო ჯარი შემოგვარტყეს. დაიწყეს ჩვენი გვარების ჩაწერვა, მოაკითხეს კაცები, რომლებიც თვითონ უყვდათ ჩაწერილი, მაგრამ ვერ ადმოაჩინეს. მერმე მოგვთხოვეს სახელმწიფო გარდასახადები, და დაგვემუქრნენ წინააღმდეგ შემთხვევაში დატუსაღებულები იქნებითო. ვიუავით ამ უოფაში სამი დღე და სამი ღამე, მშიერ-მწყურვალი, რადგან სასჭმლის მოტანის ნებას არ ადეკვდენ ჩვენ ცოლ-შვილს: თანაც განუწყვეტლივ წვიმდა. მერმე იძულებული შეგექმნით დავთანხმებულვიუავით იმათ წინადადებაზე, ე. ი. რაღაც ნაშე კაცი უნდა წასულიუო ფუღის მოსატანათ, „იმათ თან უამხახები გაუოლეს, და არ გაგვანთავისუფლეს მანამდის, სანამ ფული სრულათ არ გვაშოვინეს.

ბრწყინვალე თავადები კი ერთობ გამოცოცხლდენ და ენა წელიანათ მოახსენებდენ ვითომდა გლეხების მიერ მიუენებულ ზარალს. სხვათა შორის ერთმა ახნაურმა გ. მადლობამ (ეს ახნაური ერთ დროს სარჯველის ქარხანაში მუშობდა დღიურ მუშათ), აჩივლა: ჩემ ტუეში ბალახი მოაძოსო (ბატარა ჩირგვებიანი გორა აქვს), და ამ ზარალისთვის 30 თუმნიათ დაუჯარიმეს სოფელი, რომელიც ორი კვირის შემდეგ გადახდილ უნდა იქმნას.

კავთიხეველი ტეტია.

—

ქიზიყი. გორის მაზრას არც სიღნაღის მაზრა ჩამორჩა; მართალია თავად-ახნაურთა მიდიცია არ დაუარსებიათ, მაგრამ ზოგიერთი თავად-ახნაურები არც აქ აკლებენ თავგასულობას, რასაც ცხადათ გვიმტკიცებს შემდეგი შემთხვევა.

მკათათვის ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემი ერთი ამხანაგი გავეშგზავრენით სოფ. გუჯინში: გზათ შევიარეთ სოფ. ბაკურციხეში, სადაც მე ხშირათ დავიარები ჩემს ნათესავებთან; რადგანაც მე ნათესავთან შევდა მინდოდა, ამხანაგი ჯიშკართან დავტოვე. როცა მას დავშორდი, შევამჩნიე ვიღაც უხეირო ადამიანი, რომელსაც მრისხანება ეტუობოდა სახეზედ; მისკენისათენაც მკითხა, თუ ვინ ვიუავი, ან ვინ იუენ ჩემი ნათესავები და შემდეგ ბრძანების კილოთი დაგვიდრიალა: „მე კნიაზი რამან ვაჩნაძე გაცსადებთ, რომ დღეის შემდეგ ჩვენ სოფელში ფეხი არ დაადგათ, თორემ я васъ вздую-ო“. მე ვუპასუხე, რომ ასე უსაბუთოთ [illegible] გზის გადადობა არ შეიძლება მეთქი. „ვინა[illegible] „Вы ходите по селеніямъ, бунтуете народъ и разбрасываете прокламаціи-ო“.

მე მინდა ვკითხო მათს „ბრწყინვალებას“ თავად რამან ვაჩნაძეს: ჯერ ბირველი, რა უფლება აქვს, რომ ის გზაში გადაუდგეს ვისმე. მეორე, დაასახელოს რადის ან სადა მნახეს ან ამან და ამის მაგვარმა „კნიაზებმა“, რომ მე ან ჩემი ამხანაგი უქადაგებდით ხალხს ან კარგს ან და ან მავნე ადრებს, და მესამე, რადის ან სად ეპოვნეს ჩემ ხელში პროკლამაციები და რატომ მაშინ არ დაუჭერიეს ჩვენი თავი? ერთი მიბრძანეთ, განა ამისთანა ცილის წამება შეიძლება? მე ამითი მსურს ვამცნო „მათ ბრწყინვალებას“ თავადს რამან ვაჩნაძეს, რომ თუ ამას ერთი ბეწვის ოდენა სინიდისი და ბატიოსნება მოეპოვება, ამიხსნას: რა სიბუთით მიკრძალავს იგი ნათესავებთან მისვლა-მოსვლას და უკე თუ მას ვერ წამოაუენა ამის დასამტკიცებელი სიბუთი, მაშინ ვთხოვ ბატივ-ცემულ სახოგადოებას დასდოს თავისი მსჯავრი კნიაზ რამან ვაჩნაძეს და მის მგზავს ვაჟ-ბატონების მოქმედებას.

მგზავრი.

—

სოფ. კურდღელაური. (თელავის მაზრა). რამდენჯერმე ვცდა ამ სოფელს უამხახების ხტუმრობა; ხან მემამულეებმა გადადგეს, ხან მაზრის უფროსი აუენებდა უკან ბრძანებას, ეგებ ამ დროს განმავლობაში მორიგდენ რაღაცნაირათ ერმანეთთან თავადები და გლეხებიო. მართლაც ამ ცოტა ხანში მახდა მათი შეთანხმება, მაგრამ უველაზი კი ვერა. დარჩა შეუთანხმებელი ოთხიოდ კომლი-მემამულე და ამის გამო 17 ამ თვეს, დილის 10 საათზე გასწიეს უამხახ-რუსებმა კურდღელაურისკენ.

სრულიათ კიდე ის არის, რომ ისინი ჩაუდგებიან არა მთელ სოფელს, არამედ ამ გლეხებს, რომელთანაც აქვთ საქმე მემამულეს.

ამას წინათ მოხსენებული იყო („მოგზაური“ № 30) თებერვლის შესახებ, რომ 2 მარიამობის თვეს, დილის 12 საათ უეცრად ჯარი გაიწვიესო. როგორც შემდეგ გავიგეთ,—ჯარის გაწვევის მიზეზი ეოფილა ის, რომ ქისტები დაცემიან ფშავ-ხევსურებს და თითქმის უკლიათ.

მ. ხ.

რუსეთის ქრონიკა.

24 ივლისს ქალაქ რეველში მუშებს დიდი დემონსტრაცია მოუხდენიათ. ქალაქის ერთ ერთ ნაწილში თავი შეუყრია 3000 მდე მუშას. ოთხ-ხუთ ორატორს მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს. კრების გადაუწყვეტია მოითხოვონ დატყვევებულ მუშა-ამხანაგების განთავისუფლება და შემდეგ მთელი ყრილობა ქალაქისკენ წამოსულა. გზაზე მათ პოლიციელები და კაზაკები დახვედრიათ, 300 მდე კაცი გაუშვიათ და დანარჩენისთვის გზა შეუკავებიათ. მუშები ასეთ ძალმომრეობას ძლიერ აუღელვებია და კაზაკებისთვის და პოლიციელებისთვის ქვა და რევოლვერები დაუშენიათ. უფრო ახლო მახლო სახლების ფანჯრებიდან ისროდენ. დაჭრილია კაზაკთა ერთი ოფიცერი. ერთ მუშას პოლიცმეისტერისთვის ისე მძლავრად დაურტყავს ფეხში კეტი, რომ ცალი ფეხი ორ ალაგას გადაუმტვრევია და მეორეც კარგა დაუზიანებია. აგრეთვე სახეშიც მოხვედრია პოლიცმეისტერს რამდენიმე ქვა. ხალხი როგორც იყო გაფანტეს, მარა ვერც ერთი დემოისტრატთაგანი ვერ დაიჭირეს. ამბობენ 24 ივლისს ნახევარი წლის თავი შესრულდა მას შემ-

დეგ, რაც რეველში პირველათ ესროლეს თოფი მუშებს და სწორეთ ამ დღის ასანიშნავათ გაიმართა თურმე დემონსტრაცია. (Пр.)

30 ივლისს ბელოსტოკში საზარელი ამბები მოხდა. საღამოს 4 საათზე, როცა მრავალი ხალხი სეირნობდა ქუჩაზე, მოისმა აფეთქების ხმა და შემდეგ თოფის გახშირებული სროლა. ძალზე შეშინებული ხალხი მაშინვე დაიფანტა. ათასი, ერთი-მეორეზე საშინელი, ხმები ვრცელდებოდა ქალაქში. ცოტა ხანს შემდეგ გამოირკვა, რომ ერთ-ერთ ქუჩაზე პატრულისთვის ბომბი უსვრიათ და სამი სალდათი დაუჭრიათ. პატრულსაც სროლა დაუწყია და აქედან დაწყებულა საშინელება. სროლა ყველა ქუჩაზე გაისმოდა და მოქალაქეებს არსად შეეძლოთ თავის შეფარება. საღამომდის 50 მოკლულს მოუყარეს თავი. ერთ ეზოში ნახეს მოკლული ბერი-კაცი. ბევრი თავიანთ შინ, ოთახებში მოეკლა ტყვიას. ერთ სახლთან იპოვეს მოკლული ქალი, ბერიკაცი და ბავშვი. ებრაელთა საავათმყოფოს უკან ეზოში 31 ივლისს მოკლულთა გვამები იყო დაწუობილი. კიდეზე ძევს 70 წლის მოხუცი თავ-გატეხილი და გასისხლიანებული. გვერდით ქალის გვამი ძევს სულ მთლათ სისხლში მოსვრილი, თვალები ღია აქვს. შემდეგ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც შუბლში მოხვედრია ტყვია და ასე 15 მდე მოკლულია ჩამწკრივებული. მხოლოთ ორი ახალგაზრდა კაცია ამათ შორის დანარჩენები სულ მოხუცებულები და ქალებია. შიგ საავათმყოფოში 10 მოკლულის გვამი აწყვია; ესენიც სულ მოხუცებულები, ქალები და ბავშვებია. 4 საათზე უკვე 50 მდე ავიდა მოკლულთა რიცხვი მარტო საავათმყოფოში, ბევრი სხვა საავათმყოფოში ასევნია, ასე რომ სულ 100 ზე მეტი იქნება მოკლულთა რიცხვი! დაჭრილებს კი თვლა არა აქვს. საავათმყოფოები სავსეა დაჭრილებით. ისმის განუწყვეტელი კვნესა, ტირილი ჭ გოდება დაჭრილთა და დასახიჩრებულთა. ქუჩები სისხლით არის მორწყული. ხშირათ ტვინის ნაშხეფებიც შეგხვდებათ. (Пр.)

—

როგორც რიგის გაზეთები იწერებიან, გლეხთა და მუშათა მოძრაობა პრიბალტიის მხარეს თან და თან მძვინვარდება. ალაგ-ილაგ უწესოებამ ნამდვილი აჯანყების ხასიათი მიიღო. გლეხთა და მემამულეთა შორის ურთიერთობა მეტის მეტათ გამწვავებულია. ლიფლიანდიაში ნამდვილი ბრძოლა მომხდარა გლეხებსა და კაზაკებს შორის. ორივე მხრით ბევრი დაუჭრიათ და მოუკლავთ. „პრავო.“

—

პრიბალტიის მხარეში, როგორც იყო, მუშებმა თავისი გაიტანეს და ახლა ყოველ დღე თავისუფლათ მრავალ რიცხოვან კრებებს ახდენენ. კრებებს ხან და ხან პოლიციელებიც ესწრებიან, მარა ვერაფერ ზომებს ვერ ხმარობენ ასაკრძალავათ. ორატორები თავისუფლად ლაპარაკობენ თანამედროვე კითხვების შესახებ. დემონსტრაციებიც ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. (Пр)

—

როგორც გაზ. „რუსი“ იუწყება, ხმები პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის შესახებ საფუძველს მოკლებული არაა. გაზეთს გაუგია რომ ამ ზრათ აქვთ გაანთავისუფლონ ის პოლიტიკური დამნაშავეები, რომელნიც ადმინისტრატიული წესით არიან დასჯილნი და დატუსაღებულნი. ბევრ საზოგადო მოღვაწეს, რომელნიც აქამდე იძულებული იყვენ საზღვარ გარეთ ეცხოვრათ ნება მიეცემათ რუსეთში დაბრუნებისა.

—

მოსკოვის გუბერნიის საეროზო სამმართველოს თავმჯდომარეს შემდეგი აზრი გამოუთქვამს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ: „მე იმ შეხედულების ვარ, რაც შეხედულებასაც მთელი ერობაა. დღევანდელი სახელმწიფო სათათბირო კარგს არაფერს გვიქადის. ეს არის ხალხის წარმომადგენლობა ხუთლხოთ, რადგან მუშები და გლეხები გამორიცხული არიან. პირველი ალაგი სათათბიროში მაზრების წვრილ მრეწველებს არგუნეს, რომელთაც რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ინჩი არ გაეგებათ.

რაც შეეხება ინტელიგენციას, ისიც ხომ სრულიად გამორიცხულია. მაშ ვიღა გვეყოლება სახელმწიფო სათათბიროში? მეწვრილმანე მედუქნეები. ამას ქვიან ხალხის წარმომადგენლობა! ეჰვი არ არის, რომ ასეთი მდგომარეობა უსათუოთ საშინელებას და უბედურებას გამოიწვევს.“ (Р. А.)

—

სევასტოპოლის საზღვაო—სასამართლომ „პრუტის“ ბრალდებულ მეზღვაურთაგან უდანაშაულოთ სცნო 15, დახვრეტა მიუსაჯა ოთხს, დანარჩენებს სხვა და სხვა ვადის კატორგა გადაუწყვიტა. (Пр.)

—

2 აგვისტოს პეტერბურგის სამხედრო ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ფინლიანდიელი პროკოპესი, რომელმაც სასიკვდილოთ დასჭრა ჟანდარმის პოდპოლკოვნიკი კრამარენკო. პროკოპეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. (Р. О.)

—

ვარშავის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დავით კრაუზეს. სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე მოიყვანეს სისრულეში. (Н. ж.)

—

მუშა ვასილიევმა მოკლა ოკოლოტოჩნიკი, რის გულისათვის მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. დამნაშავის დამცველებმა სასჯელის შემსუბუქება ითხოვეს, მარა მათი თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა უმაღლესმა მთავრობამ. (რ.)

—

9, 10 და 11 აგვისტოს ვარშავის გაზეთები არ გამოსულა. 11 აგვასტოს ვარშავასა და ვარშავის მაზრაში ომის დროის წესები შემოიღეს (რ. ვ.).

—

ყაზანში, სადაც 100 ათასზე მეტი მცხოვრებია, ამომრჩეველთა რიცხვი 1400 მდეა (რ. ს.).

—

„რუს. ვედ.“-ის ცნობილმა სამხედრო მიმომხილველმა ს. კ—მ (ვ. მიხაილოვსკიმ) სამართალში მისცა «პატრიოტულ» გაზეთის «დენ»-ის რედაქტორი ბერგი, რომელმაც მიხაილოვსკის მოღალატეობა და იაპონიის მომხრეობა დასწამა (რ. ს.).

—

ლიბავის სამხედრო სასამართლომ 11 აგვიტოს აჯანყებულ მატროსების საქმის გარჩევა დაასრულა. სასამართლომ 8 კაცს ჩამორჩობა გადაუწყვიტა, 19 კაცს კატორღაში გაგზავნა 4-დან 10 წლამდის, 1—დისციპლინალურ ბატალიონში გაგზავნა სამი წლით, 2—სამხედრო სატუსაღოში დაპატიმრება, 28—1 დღით დაპატიმრება! 77 გაამართლეს, 1—მოკვდა (რ. ო.).

—

ადმირალ ნებოგატოვის ესკადრის ყველა აფიცრები დაითხოვეს სამსახურიდან. როგორც ვიცით, ეს ესკადრა იაპონელებს დანებდა. (რ. ს.).

—

11 აგვისტოს პეტერბურგის საოლქო სასამართლოს დარბაზიდან გაიქცა პოლიტიკური დამნაშავე დუბინინი. ბრალდებული დარაჯებს მოსამართლეებთან მიჰყავდათ. უცებ დუბინინი მობრუნდა, თვალის დახამხამების უმალ ერთ სალდათს ხმალი ამოაძრო ქარქაშიდან, ორივენი დასჭრა და გაიქცა. სალდათებიც გამოუდგენ. გასავლელ კარებთან ხმალი გადააგდო, დამშვიდებული ნელის ნაბიჯით გავიდა ქუჩაში: დუბინინი უქუდოთ იყო, მაგრამ მერე, როგორც ამბობენ, სადღაც იშოვა ქუდი, დაიხურა და არხეინათ გაუდგა გზას. (რ. რ.).

—

მთელ პოლონეთს, კავკასიას, ციმბირს, თურქესტანს, ურალისა და ტურგაის ოლქებსა და დანარჩენ არა-რუსებს მომავალ სახელმწიფო სათათბიროში ეყოლებათ სულ 140 დეპუტატი, შიდა-რუსეთს კი—410 (ნ. ვ.).

—

1 აგვისტოს დონის როსტოვში მოჰკლეს ჟანდარმის პოლკოვნიკი ივანოვი (რ.).

ფრიდრიხ ენგელსი.

(დასასრული *).

მუშათა მოძრაობამ, რომელიც დროებით შეჩერდა 1848 წლის შემდეგ, მესამოცე წლებში ხელ ახლა იჩინა თავი არა მარტო გერმანიაში, არამედ საფრანგეთშიც, ბელგიაშიც და ინგლისშიაც. ეს მოძრაობა, თავის თავათ ბუნდოვანი და დაბნეული, რამდენათაც შეიძლებოდა, განსაზღვრულ კალაპოტში ჩაყენა ლონდონში დაარსებულმა საზოგადოებამ „ინტერნაციონალმა“ (1864 წ.). „ინტერნაციონალის“ მიზანი იყო ყველა ქვეყნის პროლეტართა შორის მუშაობა და ორგანიზაციების შემწეობით შეგნებულ მოძრაობათ გადაქმნა მუშათა გამოუკვეთლ მღელვარებისა. ენგელსი, რასაკვირველია, ერთი უმთავრეს წევრთაგანი იყო ინტერნაციონალისა. 1870 წლიდან, როცა ენგელსი ლონდონში დაბინავდა, მთელი თავისი ენერგიით და ძალღონით შეუდგა საქმეს და ეს დრო სწორეთ ისეთი დრო იყო, როდესაც განსაკუთრებით საჭირო იყო ენგელსის დახმარება, რადგან საფრანგეთის და პრუსიის ომმა ბევრი თავსატეხი კითხვები წამოაყენა „ინტერნაციონალის“ წინაშე.

საფრანგეთის ომში მარცხი. ხავის ჩამოგდება დასრულდა და როიალისტების ეროვნულმა კრებამ განიზრახა ხელახლა დამხობა რესპუბლიკისა. მაშინ მთელი პარიზი ცეცხლზე დადგა თავისუფლების დასაცველათ. გაჩაღდა 1848 წლის ამბავი. წვირლმა ბურჟუაზიამ ჯერ ჩაითრია პროლეტარიატი ბრძოლაში და შემდეგ, თავის მოკავშირეთა ძლიერებით შეშინებულმა უკანასკნელთა ე. ი. პროლეტარიატის ძალის შესუსტება მოინდომა. მაგრამ 1871 წელი 1848 წელი არ იყო და შედარებით შეგნებულმა პროლეტარიატმა თითონ იკისრა პასუხის გება და საქმეს სათავეში ჩაუდგა. განსაკუთრებული თავგამოდებით, რა თქმა უნდა, „ინტერნაციონალი“ მოქმედობდა. თუმცა კომუნის აჯანყება „ინტერნაციონალს“ არ დაუწყია, მარა, როცა ეს აჯანყება მას მოახვიეს თავზე, იგი დათანხმდა და თავის თავი კომუნის მომხრეთ გამოაცხადა. ეს საკმაო იყო „ინტერნაციონალის“ მტრებისათვის. კომუნა დამარცხდა და ამით „ინტერნაციონალის“ ბედიც გადაწყდა. ამას დაემატა თვით კომუნის წევრთა შინაური უთანხმოებაც. მარქს-ენგელსი და მათი მიმდევარნი მტკიცედ ადგნენ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგს და ამის მახედვით პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალის მოპოვებას დიდ მნიშვნელობას აძლევდენ. მაშინდელი სოციალისტებისათვის ასეთი შეხედულება ახალი და უჩვეულო იყო. ბევრი უფრო ადვილათ და მშვიდობიანათ აპირებდენ საქმის გათავებას და კლასთა შორის არსებულ უთანხმოებას მხოლოთ სამწუხარო შემთხვევით მოელენათ თვლიდენ. ეს გულუბრყვილო ხალხი ფიქრობდა, რომ ამ კლასობრივი უთახმოების თავიდან ასაცილებლათ საკმაო იყო გაერკვიათ კაპიტალისტებისათვის მათი ნამდვილი ინტერესები. მათი „სამოქმედო პროპაგანდის“ სიშვალებანი მართლაც რომ შესაბრალისი იყო. ასეთ საშვალებათ მიაჩნდათ მათ მაგ, მხმარებელი საზოგადოებანი, სოციალისტური კოლონიები და სხვა ასეთი დაწესებულებანი.

მარქსის და ენგელსის მოღვაწეობა იქით არის, სხვათა შორის, დიდებული, რომ თავიანთი თეორიული სოციალიზმი მათ მჭიდროთ დაუკავშირეს პრაქტიკულ მუშაობასთან. იგინი მთელი თავისი გონებრივი და სულიერი ძალღონით წინ აღუდგენ მაშინდელი სოციალისტების უტოპიურ სწავლას. მათ ღირსეული ალაგი დაუთმეს პოლიტიკურ მოძრაობას, რადგან იცოდენ, რომ მხოლოთ პოლიტიკურათ გამარჯვებული პროლეტარიატი შეიძლებს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებას. კერძო პიროვნებათა მოქმედებას ძათ წინ დაუყენეს მუშა ხალხის ძალა და ძლიერება. კაცობრიობის მეგობართა განზრახულებათ—კაპიტალიზმის ულელის წინააღმდეგ ბრძოლის ბუნებრნივი აუცილებლობა დაუპირდაპირეს.

მარქსის და ენგელსის მოძღვრებამ თან და თან გაიდგა ფეხი მუშათა შორის და არა პოლიტიკურმა სოციალიზმმა თითქო სამუდამოთ დაკარგა ნიადაგი, მარა ისეთ მხარეებში, სადაც შედარებით ჩამორჩენილი მრეწველობა და აღებმიცემობა არსებობდა, ამ უკანასკნელი მოძღვრების მიდევრებმა კვლავ ეშოვეს ნიადაგი ჯერ შეუგნებელ მუშათა შორის. ერთი ნიჭიერ წარმომადგენელთაგანი არა პოლიტიკური სოციალიზმისა იყო ბაკუნინი. მისი გავლენა „ინტერნაციონალზე“ თან და თან იზრდებოდა და საჭირო იყო შებრძოლება და დამარცხება ბაკუნინის მოძღვრებისა, რომ სოციალიზმი, რომელიც შიშის ზარს და კანკალს გვრიდა ყველა ბევრ პარტიებს თავისი პოლიტიკური ძლიერებით, შეთქმულთა საიდუმლო „სექტათ“ არ გადაქცეულიყო და პოლიციის აგენტთა მსხვერპლი არ შექნილიყო. ამ გვარათ გაიმართა ცხარე ბრძოლა მარქსსა და ბაკუნინს შორის და ამ ბრძოლამ ბოლო მოუღო «ინტერნაციოლს». მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან „ინტერნაციონალმა“ უკვე სავსებით შეასრულა თავისი დანიშნულება: მუშათა მოძრაობა ყველგან შეგნებულათ გაჩაღდა და ყველა ქვეყნის მუშები შეკავშირდენ ერთმანერთ შორის.

1883 წელს მოკვდა მარქსი. მარქსის სიკვდილის შემდეგ ერთი ორათ პასუხსაგები და ძნელი მოვალეობა დაეწვა თავს ენგელსს. თაკის უპირველეს მოვალეობათ ენგგელსი მარქსის მიერ დაწყებული და ნაანდერძევი შრომის დამთავრებას თვლიდა. ყველაზე უწინარეს მან გამოსცა მარქსის კაპიტალის I ტომი მესამე გამოცემით. ეს გამოცემა არის შეცვლებული და დამთავრებული.

1884 წ. ენგელსმა გამოაქვეყნა თავისი თხზულება „როგორ წარმოიშვა ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფო“. ამ თხზულებაში მან გააცნო საზოგადოება მორგანის შრომას, რომელიც თავისი საკუთარი გამოკვლევით შეავსო. მორგანმა გამოიკვლია ისტორიამდე გავლილი ხანა და იმავე დასკვნამდი მივიდა, რა დასკვნამდისაც მარქსი და ენგელსი

*) იხილე „მოგზ.“ № 31.

შიიყვანა სხვა და სხვა გამოკვლევებმა: მან აღიარა მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე.

1885 წ. ენგელსმა გამოსცა „კაპიტალის“ II ტომი.

ერთ და იმავე დროს ენგელსი მარქსის ანდერძსაც ასრულებდა და თითონაც ენერგიულათ მოღვაწეობდა. ციურიხის „სოციალ-დემოკრატში“, შტუდგარტის „Neue Zeit“-ში და პარიჟის „სოციალისტ“-ში მოათავსა მან მრავალი წერილები.

«კაპიტალის» მე-2 და მე-3 ტომის გამოცემა იყო უკანასკნელი ნაბიჯი, რომელიც ენგელსმა პროლეტარიატს უძღვნა.

უკანასკნელი თხზულება ძისი იყო წინასიტყვაობა მარქსის თხზულებებისა კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848—1850 წ.წ., რომელშიაც მარქსი ამ ხანის პოლიტიკურ მოვლენებს იმ დროის ეკონომიურ განწყობილებით ხსნის და გამოყავს დასკვნა მომავალის შესახებ, რაც შემდეგში ბრწყინვალეთ გამართლდა. ამ თხზულების წინასიტყვაობაში ენგელსმა შესანიშნავი ხელოვნებით აწერა ევროპის ისტორია იმ დროიდან უკანასკნელ ხანამდე, თავისებური გაჭრიახებით ნათლათ გაარკვია ის განსხვავება, რომელიც სუფევს 1848 წლის რევოლიუციასა და იმ რევოლიუციას შორის, რომელიც თანამედროვე მუშათა კლასს კაპიტალიზმზე გამარჯვებას უქადის მომავალში.

ენგელსს მარქსზე უფრო კარგი ბედი ეწია. ის თავის თვალით ხედავდა სოციალიზმის თანდათანობით გამარჯვებას. ის დაესწრო რეიხსტაგის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას. 1889 წლის გადაწყვეტილებამ შესახებ 1 მაისის დღესასწაულობისა შიშის ზარი დასცა მთელი ევროპის ბურჟუაზიას. 1890 წლის სექტემბერში გაუქმდა სასტიკი კანონი სოციალისტების შესახებ, რომელიც 12 წლის განმავლობაში სდევნიდა მარქსის მიმდევრებს. 1893 წლის 12 აგვისტოს ციურიხის ინტერნაციონალურ-სოციალისტურ კონგრესზე ენგელსი აღტაცებით მიეგება ახალს და უფრო მძლავრ ინტერნაციონალს. ვენამ და ბერლინმა დაუმტკიცეს მას, რომ ის და მარქსი „ამაოთ არ იბრძოდენ და სრული ნება აქვთ ამაყათ და კმაყოფილებით გადახედონ თავიანთ შრომას“. მას სრული ბედნიერების გრძნობით შეეძლო ეთქვა: «არ არის არც ერთი მხარე, არც ერთი დიდი სახელმწიფო, სადაც სოციალ-დემოკრატები ძალას არ წარმოადგენდენ და სადაც ანგარიშს არ უწევდენ ამ ძალასო». 1894 წ. სოციალ-დემოკრატიამ გაიმარჯვა საფრანგეთის და ბელგიის პალატებში. 1895 წ. იტალიაში გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. სოციალისტების საწინააღმდეგო კანონ-პროექტის დამარცხება—უკანასკნელი გამარჯვება იყო სოციალ-დემოკრატიისა, რომელსაც ენგელსი დაესწრო. ამავე წლის 5 აგვისტოს მოკვდა ენგელსი.

მოკლე შენიშვნა აგრარულ საკითხზე.

ამ რამდენიმე თვის წინათ გერმანულ ენაზე გამოვიდა კ. კაუცკის „ერფურტის პროგრამის“ მეხუთე გამოცემა, ავტორის ახალი წინასიტყვაობით. ამ ახალ წინასიტყვაობაში პროგრამის ზოგიერთა საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომელნიც გამოთქმულია პრესაში თუ ლიტერატურაში, პარტიის თუ არა პარტიის წევრთა მიერ, კაუცკი კრიტიკულ შენიშვნებს აძლევს.

იგი წერს: მე ერფურტის პროგრამა, მეხუთე გამოცემის დროს, გულ დასმით გადავშინჯე, ყველაფერი დინჯათ ავწონ-დავწონე, მაგრამ შიგ საიმისო ვერა ვიპოვერი, რის საბუთით შეძლება მოგვცემოდა პროგრამაში პატარა-რამ ცვლილება შეგვეტანა, გარდა ერთ პუნქტისა, რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი. ყველა კრიტიკოსების არგუმენტებში, რომლებიც დაჟინებით უარყოფენ ეგრედ წოდებულ გაღატაკების და კატასტროფის თეორიებს, არ მოგვცეს საბუთები პროგრამა იოტის ოდნავათ შეგვეცვალა, ვინაიდან დასახელებულ წიგნში არც ერთი და არც მეორის თეორიის მიმსგავსებული რამ არა არის რა. ეს თეორიები, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში (ერფურტის პროგრამის დაწერის შემდეგ), მიუხედავათ ყოველ გვარ პროტესტისა, რომელიც ჩვენ ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ განვაცხადეთ, მაინც ძალით მოახვიეს ჩვენს პროგრამასო. აქვე, კ. კაუცკი, გაღატაკების და კატასტროფის თეორიის მარქსიზმის, შეხედულების დაკვალათ მოკლე განმარტების შემდეგ, გადადის პროგრამის, ვითომდა, სადაო პუნქტზე: მეურნეობაში წვრილ წარმოების შემცირებაზე. წვრილ წარმოების მეურნეობაში შემცირება უკანასკნელ წლებში მართალია ისე სწრაფათ არ ხდება, როგორც ეს აქამდის ხდებოდა; ზოგ ალაგას, პირიქით მრავლდებიან კიდეც. სულ ეს არის და მეტი არაფერი. განა, ამბობს კაუცკი, ეს ჩვენ გვაძლევს საბუთს, რომ ერფურტის პროგრამის ძველი ალაგი წავშალოთ და მის მაგიერ ახალი, დიამეტრალურათ წინააღმდეგი, ტენდენცია ჩავწეროთ, ე. ი. მსხვილ მეურნეობათა რიცხვი მცირდება და წვრილი კი მრავლდება. უკანასკნელ წლების მიწათ-მფლობელობის სტატისტიკური ციფრები საამისოს არას გვეუბნება; ეს განვითარების მიმდინარეობის შეცვლას კი არ ნიშნავს, არამედ განვითარების მსვლელობის შეჩერებას, რამდენათაც ეს განვითარება წარმოების სიდიდეს შეეხება. ცვლილება, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში მეურნეობის ზოგიერთა წარმოების დარგში ემჩნევა, დიდათ უმნიშვნელოა, ამასთან, განვითარების მიმდინარეობა ყველგან თანასწორი არ არის, ერთ მხარეში მსხვილი მეურნეობა იზდება, მეორეში—წვრილი. გარდა ამისა, ის ხანა რომლის განმავლობაში შეჩერების პროცესი თვალ-საჩინო შეიქნა, მეტათ მოკლეა, რომ ამ ხნის ფაკტების საშუალებით ჩვენ უარვყოთ ის დასკვნა, რომელიც გამოყვანილ იქნა რამდენიმე საუკუნის ფაქტებისაგან, ე. ი. მეურნეობაში მამულის კონცენტრაციის ტენდენციას. იგივე კაუცკი 1899 წელს ჰანოვერის პარტეიტაგზე ამბობდა: ეჭვ გარეშეა, რომ მეურნეობის განვითარება იმავე შაბლონით არ ხდება, როგორც ინდუსტრიისა, იგი თავის საკუთარ განვითარების კანონს ემორჩილება; მართალია, კონცენტრაციის პროცესსი მეურნეობაში ისე აშკარად, ისე ნათლათ არ ხდება, როგორც ინდუსტრია—მრეწველობაში, მაგრამ თუ მხედველობაში საერთო მთელ განვითარების მსვლელობას მივიღებთ და არა მარტო სამეურნეო ურთიერთობას, მაშინ სრულებით სამართლიანათ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ განვითარების ტენდენცია წვრილ წარმოების გაქრობისაკენ მიექანებაო“.

ჯერ ისევ მარქსმა 1861 წელს ინტერნაციონალურ მუშათა ასოციაციას შემდეგი შინაარსის ინაუგურაციული ადრესი (Inauguraladresse) გაუგზავნა: „გადაშალეთ მთავრობის ქალალდები (ინგლისისა) 1861 წლის და დაინახავთ, რომ მიწის მესაკუთრეების რიცხვი ვალისში 1851—1961 წ. 16934-დან 15066 ჩამოსულა, ასე რომ მამულის კონცენტრაცია ამ ათი წლის განმავლობაში თერთმეტი (11) პროცენტით გაზდილა. თუ რომ მიწის კონცენტრაცია უმცირესობის ხელში ამ წესით წავიდა, მაშინ, რასაკვირველია აგრარული კითხვა ძალიან მარტივი იქნება“. ფაქტიურათ, შემდეგში, მეურნეობის განვითარებამ ასეთი მარტივი ფორმა არ მიიღო, ვინაიდან გამოჩნდენ სულ ახალი პირობები. რო-

გორც, უცხო ქვეყნების (განსაკუთრებით ამერიკა-ინდოეთის) სამეურნეო ნაწარმოების მიერ გამოწვეული კონკურენცია ინგლისის ბაზარზე, მეორე, სოფლის მუშების სოფლებიდან გადასახლება, რომლებიც მეტათ აფერხებს მამულის და სამეურნო წარმოების კონცენტრაციას. დასახელებულმა ეკონომიურმა მოვლენებმა კი საგრარო კითხვები გაადვილების და გამარტივების მაგიერ, უფრო მეტათ გაართულეს, თანდა-თან უფრო ძნელ გადასაჭრელ კითხვათ გახადეს სოციალ-დემოკრატიისთვის.

მაგრამ ეს კი მეცნიერულ გამოკვლევით უცილობელათ დამტკიცებულია, რომ რამდენათ აგრარიული ურთიერთობა ვითარდება, იმდენათ მეურნეობა ნაკლებ გავლენას ახდენს, საერთო სოციალურ განვითარებაზე, რადგან სოფლის მცხოვრებთა რიცხვი შედარებით ხშირათ თითქმის აბსოლიუტურადაც კლებულობს. მაგალითათ გერმანიის სახელმწიფოში საერთო ხალხთა რიცხვი გაიზარდა 1882—1895 წ. $6^1/_2$ მილ., სოფლის მცხოვრებთა რიცხვი კი 784000 შემცირდა. ვაჭრობაში, ტრანსპორტში, ინდუსტრიაში მომუშავეთა რიცხვი ძალიან გამრავლდა, $16^1/_4$—20 მილიონი, მაშინ როცა მეურნეობაში მომუშავეთა რიცხვი 4 პროცენტით შემცირდა.

ეს აუცილებელი პროცესია არა მარტო სამრეწველო ქვეყნებისთვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც დაუმუშავებელ მასალას ამზადებენ სამრეწველო ქვეყნებისათვის.

მთელი თანამედროვე ეკონომიური განვითარება იქითკენ არის მიმართული, რომ მეურნეობას ერთი ფუნქცია მეორეზე ჩამოაცალოს და საქონლის მწარმოებელ ინდუსტრიას მიუმატოს. მაგ. დაწინაურებულ ქვეყნებში მრეწველობამ გააქრო გლეხის ოჯახური წარმოება, რომლის ნაწარმოებით, ჩვეულებრივ, იგი ოჯახის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. დღეს ევროპაში ველარ შეხვდებით, რომ გლეხი ოჯახში ქსოვდეს თეთრეულს, ტანსაცმელს, მატყლიდან სხვა და სხვა ქსოვილებს, ხდიდეს მაგარ სასმელებს სხვა და სხვა სამეურნეო ნაწარმოებიდან, როგორც ეს ამ ერთი საუკუნის წინეთ გლეხის ოჯახში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყველა ამ ნაწარმოებს ახლა გლეხი თავის ოჯახისათვის. ბაზარზე ყიდულობს; ინდუსტრიის განვითარებამ ისეთი ნაბიჯი გადადგა რომ ზოგიერთა სამეურნო ნაწარმოებს თითონ ამზადებს ანდა მის მაგიერ სხვა რამ გამოიგონა „მაგ. საღებავ მცენარეულობის მაგიერ ინდუსტრიამ ქვა ნახშირის კუპრიდან საღებავი დაამზადა; ქერის, სიმინდის, ფეტვის მჭამელ საქონლის მაგიერ ველოსიპედები, ავტომობილები, ელექტრონის გზები, ორთქლის გუთნები და სხვა—გამოიგონა. ინდუსტრიის ყველა ამგვარი პროგრესიული წარმოება კი იმ გავლენას ახდენს მეურნეობაზე, რომ ყველა კულტურულ ქვეყნების მეურნე მცხოვრებთა რიცხვი ერთიანათ შეამცირა.

გერმანიის სახელმწიფოში თითო ას 100 წარმოებაში მომქმედზე მოდიოდა.

	დამოუკიდებელი		დაქირავებულები	
	1882წ.	1895 წ.	1882წ.	1895 წ.
მეურნეობაში	27,78	30,98	72,22	69,02
ინდუსტრ.	34,41	24,90	65,59	75,10
საერთოთ	32,03	28,94	76,97	71,06

მიუხედავათ იმისა, რომ მეურნეობაში დამოუკიდებელთა რიცხვი საკმარისათ გაზდილა, სამაგიეროთ ყველა მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით იგი ძალიან შემცირებულა. კონცენტრაციის პროცესსი ვაჭრობასა და ინდუსტრიაში სწრაფათ ხდება, სოფლის მცხოვრებთა კი რიცხვი აბსოლიუტურათ კლებულობს.

გერმანიაში 1848 წელს მეურნე მცხოვრებნი მთელ სახემწიფოში მცხოვრებთა სამ მეოთხედს ($^3/_4$) შეადგენდა, 1899 წელს კი მხოლოთ ერთ მესამედს — დაახლოებით 35,7 პროცენტს. საქსონიაში (გერმანიის პატარა სახემწიფოა), ამ ტიპიურ ინდუსტრიალურ სახემწიფოში მეურნე მცხოვრებნი სრული 14 პროცენტიც არ ითვლებოდა, ავსტრიაში (საქსონიის პროვინცია) 10 პროცენტი. საფრანგეთში მეურნე მცხოვრებთა რიცხვი, გერმანიასთან შედარებით დიდია, მაგრამ აქაც 1876—1891 წ. ყველა მცხოვრებთან შედარებით ძალიან შემცირდა—51,4—45,5 პროცენტით.

საფრანგეთში:

	ყველა მცხოვრების რიც.	პროცენ. მეურნეობ. მცხოვ.
1876 წ...	36.906,000	51,4
1881...	37.672,000	48,4
1889...	38.219,900	46,6

ინგლისში მეურნე მცხოვრებნი 1890 წ. მთელ მცხოვ. მხოლოთ 10% შეადგენდა. შეერთებულ შტატებში აბსოლიუტურათ თუ არა შედარებით მაინც შემცირება ეტყობა. მაგრამ სამთო და სათევზო წარმოებას თუ გამოვაცალკევებთ, რომლებიც მეურნეობაზეა მითვლილი დავინახავთ 1880 წ. მეურნეები 50,25% შეადგენდა 1890 წელში 44,28%, ჩრდილოეთ ატლანტიის შტატებში 22,6 პროცენტს.

მერე განა ყველა სოფლის მცხოვრებნი სამეურნო ნაწარმოების გამყიდველები არიან? სრულიათაც არა, ამათგან მომეტებული ნაწილი თავის სამუშაო ძალას ყიდის.

გერმანიის სახელმწიფოში 1895 წელს ითვლებოდა:

	წარმოებაში მომქმედ.	კომპანიონ. და მოსამსახურ.	ერთად.
დამოუკიდებელი.	2.576,725	6.900,096	9.476,821
დღიურ ქირაზე მომუშ. (მოჯამაგირები, მოსამსახ. მოხელენი.).	5.715,967	3.308,519	9.024,486
	8.292,692	10,208,615	18,501,307

როგორც ვხედავთ მეურნეობაში დღიურ ქირაზე მომუშავენი რიცხვით იმდენათვე გამრავლებულან, როგორც თვით დამოუკიდებელი მეურნენი თავიანთ ოჯახის წევრებით.

ლ. ახმეტელაშვილი.

(დასასრული იქნება)

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

«ცნობის ფურცლის» მე-2881 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ გ. რ—ს წერილი "აგრარული საკითხის გამო", სადაც ავტორი უკიჟინებს „მოგზაურისტებს" აგრარული პროგრამის გამო წინააღმდეგობას. რადგან მოზაურის შეხედულობით გაპროლეტარება რომელიც შედეგია წვრილი წარმოების მსხვილ წარმოებასთან შეტაკებისა, ამზადებს იმ ძალას რომელმაც უნდა დაამხოს ეხლანდელი ბურჟუაზიული მეურ-

ნეობა. გაპროლეტარება, ამიტომ აუცილებელი ხიდია სოციალიზმისკენ გადასასვლელათ თანამედროვე ცხოვრებიდან. გლეხი—წვრილი მწარმოებელია, წვრილი ბურჟუაა, სოციალიზმის განსახორციელებლათ ის მხოლოთ მაშინ შეიქნება გამოსადეგი, როდესაც გაპროლეტარდება. ე. ი. დაკარგავს ყოველსავე საკუთრებას და მიწასა და კერძო საკუთრებაზე, (sic) შეიქმნება მხოლოთ შრომის გამყიდავათ. (იხ. ცნ. ფ. № 2881.)

„თუ ლოლიკის კანონი არსებობს იმისთვის“ ამბობს ავტორი: „ვისაც პროლეტარიზაცია რწამს, როგორც სოციალიზმის გზა, ის ან სრულის ინდიფერენტიზმით უნდა უცქეროდეს წვრილი ბურჟუების მეცადინეობას შესახებ კერძო საკუთრების გაფართოვებისა, ან პირდაპირ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათს ასეთს მისწრაფებას“ (იხ. ცნ. ფურ. №2881)

„მოგზაურისტები“ და მათთან ერთათ ბ-ნი გომართელი (გ. რ-სს წერილი გამოწვეულია გომართელის წერილით, რომელიც ამავე საგანს შეეხება „იერიის“ მე-136 ნომერში) კი საჭიროთ ცნობენ, „გლეხს სრულ საკუთრებათ მიეცეს ნადელი, დაუბრუნდეს ჩამონაჭერი, მიეცეს ტყე და საბალახე. ყველა ეს ზომა შეიცავს გლეხის ეკონომიურ ცხოვრების გამაგრებას სწორეთ იმ მხრივ, რა მხრივაც იგი წვრილი ბურჟუაა და არა პროლეტარი, და მასთან სწორეთ იმ საშუალებით, რომლითაც გლეხი ეწინააღმდეგება გაპროლეტარებას. გლეხის კერძო საკუთრების ზრდა, ყველასათვის ცხადია, გაპროლეტარება კი არა, წვრილი ბურჟუაზიის განმტკიცებაა. ამიტომ ის პროგრამმა, რომელიც გლეხის ცხოვრებაში ასეთი ეკონომიური ცვლილების შეტანას ემსახურება, სოციალიზმის განხორციელებას კი არ უწყობს ხელს, არამედ მას აბრკოლებს თუ გაპროლეტარება აუცილებელი და ერთათ ერთი გზაა სოციალიზმისა. აშკარაა, გლეხის კერძო საკუთრების გამაფართოვებელი პროგრამმა შეიძლება ეკუთვნოდეს იმას ვინც სოციალიზმის მტერია და არა მოკეთე. (იხ. «ცნ. ფურ.» № 2881.)

„აზრი და შეხედულება მხოლოთ მაშინ შეიძლება ჰეშმარიტება იყოსო“ ამბობს ავტორი—როდესაც იგი წინააღმდეგობას არ შეიკავსო.

ბოლოს ავტორი ამნაირათ ათავებს: ორში ერთი უნდა იყოს, ან პროლეტარიზაცია მართლა ერთათ ერთი გზა უნდა იყოს სოციალიზმისაკენ, ან, «ჩამონაჭრების» პროგრამმას სოციალისტური მიმართულება არ უნდა ესარჩლებოდეს, მათი შეერთება კი უფრო უპრინციპობაა, ვიდრე სოციალისტობა. ვნახოთ.

ჩვენი აზრით სოციალისტური წყობილება ჩასახულია თვით თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების სიღრმეში და წარმოადგენს ამ ჩანასახის განვითარების შედეგს სოციალიზმი—ეს საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობაა, და ამიტომ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა წარმოებაა განსაზოგადოებრივებული. წარმოებას კი ასაზოგადოებრივებს კაპიტალიზმი, რომელიც დამყარებულია გასაზოგადოებულ წარმოებაზე, მაშინ როცა საწარმოო იარაღები და ნაწარმოები კერძო საკუთრებას შეადგენს. ეს გარემოება ბადებს წინააღმდეგობას საწარმოო ძალებსა და ბურჟუაზიული ურთი-ერობათა შორის. ამ წინააღმდეგობის მოსპობა ნიშნავს სოციალისტური წესწყობილების დამყარებას და ამ დიადი ისტორის აქტის მოხდენა შეუძლია იმ ნაწილს საზოგადოებისას, რომელსაც მძიმე უღლათ აწევს თაზე კაპიტალისტური წესწყობილება, ე. ი. პროლეტარიატს.

კაპიტალიზმი ამრავლებს პროლეტართა რიცხვს, უფრო და უფრო მეტ მუშებს აგროვებს წარმოებაში, აკავშირებს, აერთებს და აწყობს რაზმებათ და ამნაირათ ქმნის დიად საზოგადოებრივ ძალას, რომელიც ძირს უთხრის თვით ძეს არსებობას; ყოველივე ის, რაც წინ ელობება ამ პროცესს შეიძლება წინმსვლელობისათვის.

კაპიტალისტური მსხვილი წარმოება, რომელიც შეადგენს ლაბორატორიას, სადაც მუშავდება მომავალი წყობილება, გადადის თვით სოფელში, ქმნის ელემენტებს გასაზოგადოებისას, არყევს პატრიარქალურ ცხოვრებას ელექტრონივით ანაწილებს სოფლებსა და ერთ მხარეზე აგროვებს პროლეტარიატს, მეორეზე კი ბურჟუაზიას. ყოველსავე ამას კი სოფლის ცხოვრებაში წინ ელობება ფეოდალური წყობილების ნაშთები, ბატონყმური დამოკიდებულება გლეხებსა და მემამულეებს შორის. რადგანაც ნადელი, ჩამონაჭერი, ტყე და საბალახე „ფეოდალურ-ექსპლოატაციის“ საშუალებას შეადგენს, ამიტომ ჩვენი აგრარული პროგრამმის თანახმათ, ყოველივე ეს გლეხის საკუთრებათ უნდა გახდეს.

ერთი ავტორის სიტყვით სარატოვის გუბერნიაში ჩამონაჭერი მიწები უდრის 600,000 დესიატ. ე. ი. $^2/_5$-დს ყველა იმ მიწებისა, რომელიც გლეხების საკუთრებათ ითვლებოდა ბატონყმობის დროს, იჯარით აღებული მიწა კი უდრის 900,000 დესიატინას მაშასადამე ჩამონაჭერი შეადგენს $^2/_3$-დს იჯარით აღებული მიწებისას. კავკასიაში დროებით ვალდებული გლეხების რიცხვი შეადგენს 150,000 სულს, ხიზნების კი 48,000.

ჩამონაჭერი მიწების, ნადელის დაბრუნება შეუმსუბუქებს გლეხს ეკონომიურ მდგომარეობას, გაანთავისუფლებს მემამულის კლანჭებისაგან; ამით აიწევს სამუშაო ქირა სოფელში და მებატონე კი იძულებული შეიქნება თათქარიძესებული მდგომარეობიდან გამოვიდეს, გაუმჯობესებული სისტემა შემოიღოს თავის მამულში და ექსტენსიური მდგომარეობიდან, ინტენსიური, კაპიტალისტური ნიადაგზე დამყარებული, მეურნეობაზე გადავიდეს. ეს კი შეჰქმნის ბაზარს ინდუსტრიალური ნაწარმოებისათვის, შეუწყობს ხელს ზედმეტი ღირებულების განაღდებას და მით ინდუსტრიალური წარმოების გაფართოვებას. აქედან იმატებს მოთხოვნილება მუშებზე რაც სამუშაო ქირის აწევას გამოიწვევს. ამნაირათ გაიზრდება როგორც მეურნეობაში, ისე მრეწველობაშიაც მატერიალური და ფსიხოლოგიური პირობები მომავალი ცხოვრებისათვის.

აქედან ის დასკვნა გაძოდის, რომ ჩვენი აგრარული პროგრამმა სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენ საბოლოო მიზანს, როგორც ეს ბ. გ. რ-ს გონია.

წინააღმდეგობა მხოლოთ ბ. გ. რ-სი თავშია. ჩვენ ვამბობთ, რომ სხვა და სხვა კონკრეტული პირობების მიხედვით ჩვენი დამოკიდებულება რომელიმე საგანთან, ანუ საზოგადოებრივ მოვალეობასთან იცვლება. მაგ. როდესაც არსებობს სოფელში ფეოდალური მსხვილი საკუთრება, რომელიც აფერხებს სოფელში საზოგადოების მოდერნიზაციას და როდესაც ამ მსხვილი ფეოდალური საკუთრების ნიადაგი გლეხების საკმარი მიწის უქონლობაში აქვს, მაშინ ჩვენ ვიცავთ წვრილ საკუთებას. მხოლოთ ამ უკანასკნელს, მსხვილ კაპიტალისტურ საკუთრების წინაშე ჩვენ არასოდეს არ ვიცავთ, რადგან ეს რეაქციონური უტოპიაა და მას ებღაუჭებიან წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები.

ერთი სიტყვით ჰო არა, არა-ჰო. აი როგორ ვმჯელობთ ჩვენ დიალექტიური მეთოდის მიმდევარნი. ჰო-ჰო, არა-არა, აი როგორ მსჯელობს მეტაფიზიკი ბ-ნი გ. რ-ი და სანამ არ მიატოვებს მეტაფიზიკურ მსჯელობას, იგი ვერ გაიგებს ჩვენ აზრებს და იძულებული იქნება დონ კიხოტისავით ებრძოლოს ქარის წისქვილებს.

ვ. ემუხვარი

ბაქოს ამბების გამო.

ეს 1905 წელი სისხლის ღვრის წელია რუსეთისათვის. თავი დავანებოთ რუს-ეთ-იაპონიის ომს და მანჯურიის თვალ-გადუწვდენელ მინდვრებს, რომლებიც უდანაშაულო ადამიანთა სისხლით მორწყო ორი სამი თავგადებული და გათახსირებული ადამიანის უსვინიდისო საქციელმა და თვით რუსეთის ვეებერთელა სივრცეს გადავალოთ თვალი. აქ, მგონი, არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, სადაც სისხლი არ დაღვრილიყოს და მკვლელობას და ყლეტა-ხოცვას არ ქონებოდეს ადგილი. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც არ გვაკვირვებდა; ასეთ სისხლის ღვრას საკმაოთ შევეჩვიეთ ჩვენ და დარწმუნებული ვართ, რომ მისი შეწყვეტა მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც მისი მიზეზი აღარ იქმნება და მიზანიც სავსებით შესრულდება მარა ჩვენი ლაპარაკის საგანს ეს შინაური ომი არ შეადგენს, იგი დიდი ხანია დაფასებულია მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის მიერ პირიქით, იგი ნათელს ფენს და შვენიერი მერმისის მოახლოვებას უქადის ყველას. სამწუხაროთ მარტო ასეთი ბრძოლა არ ახასიათებს ჩვენს შფოთიანს და მღელვარე დროს. რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ბრწყინვალე სახეს ჩირქის ღაქათ ეცხება სამარცხვინო ყლეტა ეროვნულ უაზრო სიძულვილით გამოწვეული, ყლეტა, რომლის მიზეზი მხოლოთ ადამიანთა სამწუხარო შეუგნებლობით და მხეცური ინსტიქტებით აიხსნება. ამ მხრით განსაკუთრებით ისახელა თავი იმავე 1905 წელმა, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ჩაგრული ხალხის მძიმე უღლისაგან განთავისუფლების დამწყები წელი. ებრაელთა მხეცურ ყლეტა-წყვეტას, რომელსაც დრო გამოშვებით მართავდენ ეგრეთ წოდებული «შავი ძალები» ზედ დაერთო ახალი საშინელება—სომხებსა და თათრებს შორის ომიანობა.

თუმცა ჩვენ, რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებნი შევეჩვიეთ საშინელი ამბების გაგონებას და მუდამ დაწიწული ნერვები თითქმის მიჩლუნგებული გვაქვს, მარა ის, რაც ამ ჟამათ ბაქოში, შუშაში და მათ მიდამოებში ხდება მკვდარსაც შეაშფოთებს და გულ-ქვა ადამიანსაც კი მწარე ფიქრებს მოგვრის. მაშინ როდესაც მთელი რუსეთის საუკეთესო ნაწილის ძალ-ღონე და გონება უკეთესი მომავალის მოპოებისაკენ არის მიქცეული, როდესაც საზოგადოების ყველა კლასებს ერთი და იგივე აზრი უტრიალებს თავში, როცა ყველა ერთს ყველასათვის საშიშარს და საძულველ მტერს—ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას ებრძვის, ორი ეროვნების შეუგნებელი ნაწილი, მხეცური გრძნობებით გატაცებული, საშინელი თავდავიწყებით ერთმანერთს მისევია და ყლეტს და მუსრს ავლებს ყველას, ვინც მისთვის საძულველ ეროვნებას ეკუთვნის, განურჩეველათ სქესისა და ასაკისა. ამაზე მეტი სიმხეცე წარმოუდგენელია. ასეთ ამბებს მხოლოთ ველურ ოსმალეთში შეიძლება ქონდეს ალაგი. იქ სადაც ყოველ დღე და ყოველწუთში ერთი ჯურის ადამიანები მხოლოთ ასეთი საშინელების ნიადაგს ეძებენ და მხეცური ინსტინქტების გაღვიებაზე ფიქრობენ მუდამ, ასეთი საზიზღარი ხოცვა ყლეტის სამუდამოთ მოსასპობი საშვალება ძნელი მსოფნახავია, რადგან ძალა და უფლება იმათ ხელშია, ვისაც ამნაირი მოვლენა გულს ფხანს და სიამოვნების გრძნობას უღვიძებს. ერთათერთ სანუგეშო იმედათ დაგვრჩენია მტკიცე და შეურყეველი რწმენა, რომ ასეთი უადამიანო ყლეტა—მალე შეუძლებელი იქნება და დღეს თუ ხვალ წარსულის სამარცხვინო ფურცელზე აღიბეჭდება. ამ მოლოდინის ასრულების თავდებია დღევანდელი მოძრაობა და ყოველი შეგნებული ადამიანი ხელს უნდა უწყობდეს მის ახალ მომავალში გახორციელებას...

პასუხი ბ-ნ ჩხიკვიშვილს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

«მოგზაურის» № 29-ში მოთავსებულ წერილით თქვენ გვთხოვდით გამოგვექვეყნებია თქვენი მოწმების ჩვენება. ამ თხოვნის შესრულება ჩვენ მოუხერხებლათ მიგვაჩნდა რადგან სამედიატორო სასამართლოს ოქმები. სწორეთ ამ ადგილიდან სადა მოწმების ჩვენება იწეება ჯერ შეუსწორებელია და დაუმტკიცებელია, მანამდის კი მისი სიმართლის ხმარება უხერხულია. ჩვენდა სამწუხაროთ ნაკლოთხია სრულიათ ერთი მხრის (ბ. სახოკიას) მოწმები, თქვენი მხრით (ბათომის ინციდენტის გარდა) მხოლოთ ბ. დვალიანა, ბ. ფანულაის კი არ დაუსრულებია თავისი ჩვენება. ჩვენ ამედა გვაქვს სამედიატორო სასამართლოს უოფილი თავმჯდომარე ბ-ნი დემიდოვი და მდივანთ მოწვეული ბ-ნ ი. კახრეიძე იზრუნებენ ოქმის დამტკიცებაზე და ან მაშინ შეიძლება მოწმების ჩვენების დამტკიცება. ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ იძულებული ვიქნებით ჩვენი შენიშვნებით ადვადგინოთ და გამოვაქვეყნოთ ისინი. ან ეს არის დღეს ჩვენი პასუხი თქვენ თხოვნაზე.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ვეკითხებით ბ-ნ დემიდოვს შესძლებდათ სცნობის იგი თუ არა ოქმის შესწორებას და დამტკიცებას და ჩვენის მხრით ვუცხადებთ, რომ მზათ ვართ ამ მიზნით შევიკრიბოთ აქ სადაც ის დაგვინიშნოს ადგილსა და დროს.

ნიკო ელიავა
მიშა იაშვილი

P. S. უოველთა უდიდესთა მიგვაჩნია ს. ფირცხალავას სიტყვიდი, რომელმაც დაუმსხურებელი განშორებით შეურაცხყო ბ-ნ ჩხიკვიშვილი. მისი უოფა-ქცევა გვარწმუნებს რომ მას სრულებით არა აქვს შეგნებული მოსამართლის მოვალეობა და უკანასკნელი გაუხდია ბირადი ჟინისა და ანგარიშების გასასწორებელ იარადათ. მისი წერილიდან სჩანს, რომ **მას „ბენია ჩხიკვიშვილის შესარცხვენი“ მასალის მოგროვება უფრო ნდომებია ვიდრე საქმის გამორკვევა** და თუ ასე იყო მოსამართლის როლი რადათ იკისრა, ბრალდებულობა უფრო შეშვენებოდა. იძულებული ვართ ჩვენის მხრით გამოვაცხადოთ, რომ სამედიატორო სასამართლოს წინ არავითარი ბენია ჩხ-დის შესარცხვენი ფაქტი არ გამოაშკარავებულა და ვინც ამ მიზნით იყო მოსული სასამართლოში ის იმედგატეხილი უნდა დაბრუნებულიყო თუ მთელთ დაბრმავებული არ იყო თავისი «მიზნით». არსებითათ ბ-ნ ფირცხალავას წერილზე ბასუხის გაცემას ვთხოვთ იმავ თავმჯდომარეს ბ-ნ დემიდოვს, რომელიც ჟველაზე უფრო ნაკლებ არის დაინტერესებული და დარწმუნებული ვართ ისეთ მიუდგომელათ და ბირუთვნელათ მოიქცევა ამ შემთხვევაში, როგორც თვით სამართლის წარმოების დროს იქცეოდა.

ნიკო ელიავა.
მიშა იაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვითხოვო სამედიატორო სამართალში სტუდ. ვასო მგალობლიშვილი და ვასო ბერეჟიანი ჩემზე საზიზღარი ცილის წამებისათვის. ჩემის მხრივ ვასახელებ ბბ. გიორგი შილაკაძეს და ვლადიმერ ცეცხლაძეს.

სტ. ფილიპე ჟორჟოლიანი.

ქ. ოზურგეთი 17 აგვისტო.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 27-го Августа 1905 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი ეომხ. სას. სემ.